ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 ნოემბერი, 2023 №235 (9271) ფასი: 80 თეთრი

თბილისში აგრესიული პირი ავტობუსში დანით მგზავრებს ემუქრებოდა

გვ.3

„სააკაშვილი შეიძლება მელიას გუნდში აღმოჩნდეს“

ვახტანგ ძაბირაძე: „კეზერაშვილ-მერაბიშვილი შეადგენს ნაციონალების საარჩევნო სიას. ახლა ამაზეა ბრძოლა!“

გვ.3

ნაციონალურ მოძრაობაში კრიზისი გაღრმავდა

გვ.4

„9 თვეა, ეს გაუგებრობა გრძელდება“

ლელა ჯეჯელავა: „ივანიშვილი კარგად ერთობა „თოჯინების სპექტაკლით“. არ ვიცი, ბოლო სპექტაკლს როგორი სახით წარმოგვიდგენს“

„მელიამ ხაბეიშვილზე წინ თქვა, რომ ნაციონალებში აღარაა“

გვ.2

„რუსეთის პოზიციები ცენტრალურ აზიაში სუსტდება“

გვ.4

„პუტინის უკანა ეზოდ“ რეგიონის მოხსენიებამ საზოგადოება გაანაწყენა

„2012 წელს, ერთ-ერთი დეპუტატის ოჯახში დაიბარეს სააკაშვილი და უთხრეს, თქვენ არ უნდა იყოთ და ვანო მერაბიშვილი უნდა გახდეს პრემიერიო“

გვ.2

გვ.2

თინა ბოკუჩავა: „კაცი დეპუტატები ქალ დეპუტატებს თავს ესხმიან“

ამგები აფხაზეთის ომიდან

გვ.5

როგორ გამოიყვანეს ჭიული შარტავა მთავრობის სახლიდან

სასუნთქი გზების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

გვ.5

4 მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ეცემა

3 პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას კაბუს საქმეზე გაასაჩივრებს

4 2030 წლამდე მსოფლიოს კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა ექნება

6 გენერალი ოსტინი აშშ-ის ახალი პრეზიდენტი?

1993230720223

„მელიამ ხაბეიშვილზე წინ თქვა, რომ ნაციონალებში ...“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

ლელა ჯეჯელავა: „ივანიშვილი კარგად ერთობა „თოჯინების სპექტაკლით“. არ ვიცი, ბოლო სპექტაკლს როგორი სახით წარმოგვიდგენს“

– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? წინასაარჩევნო მარათონი უკვე გახსნილია და ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიციას მეტი გონიერება და წინდახედულობა მართებს. მთავარ ოპოზიციად წოდებულ პარტიაში კი დიდი სკანდალია. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის და ყოფილი თავმჯდომარის პარტიიდან პირდაპირი ეთერში გარიცხვა, არ არის გონიერი საქციელი. თქვენ რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? ბევრი თვლის, რომ ეს არის არაფორმალური მმართველობის შედეგი.

– ის, რაც ახლა ოპოზიციასთან დაკავშირებით ხდება და კონკრეტულად ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა ყოფილიყო ლოკომოტივი ამ ხელისუფლების დამარცხებისა, ცხადია, რაციონალიზმის ფარგლებს აშკარად გასცდა. პრიორიტეტებთან დაკავშირებით მთლად კარგად არ არის.

1992 წლის შემდეგ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელმაც ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს. ამ დროს გარჩევებია, კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიაში პოლიტსაბჭოს წევრები ვინ უნდა იყვნენ, ვის რა უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს. მიმაჩნია, რომ, უბრალოდ, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ამ ბატალიებში ჩართულ ყველა მხარეს. დავიჯერო, ამ ქვეყნისთვის რიგით ჯარისკაცად ბრძოლა არავის არ უნდა?! იმ რიგითმა ჯარისკაცებმა რა ქნან, რომლებიც ებრძვიან ამ ხელისუფლებას და საკმაოდ დიდი რისკები შეუქმნეს საკუთარ თავს და გაირთულეს ცხოვრება „ქართული ოცნების“ პირობებში. მათზე რატომ არავინ ფიქრობს?! მაშინ რა განსხვავებაა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის?!

– გამოდის, რომ ყველა მანდატისთვის იბრძვის?

– სწორედ ამას ვამბობდი. მარტო მანდატები და თანამდებობა იქნება მათთვის პრიორიტეტი. მოუკლავი დათვის გატყავების ამბავია და ძალიან არასერიოზულად გამოიყურება. დიდ ჩრდილს აყენებს ოპოზიციურ პარტიებს.

– ქალბატონო ლელა, მელია და მისი გუნდი ჯერჯერობით დუმილის უფლებას იტოვებენ. არ უთქვამთ არაფერი. თუმცა ვისმენთ შეფასებებს, რომ სერიოზული რღვევა მოჰყვება ამ ყველაფერსო. ხაბეიშვილის ამ გადაწყვეტილებით ძალიან ბევრი დარჩა უკმაყოფილო. რა გაგრძელება ექნება ამ პროცესს?

– მე არ მგონია, ხაბეიშვილს ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც იმ სატელევიზიო გადაცემაში მიეღო. ეს გადაწყვეტილება რომ იქნებოდა, ეს უკვე ცხადი იყო მას შემდეგ, რაც პარტიის დამფუძნებელმა და რეალურმა ლიდერმა, მიხეილ სააკაშვილმა, მანიფესტის იდეა წამოაყენა და თქვა, რომ მანიფესტის იდეას ვინც შეუერთდება, ერთად გააგრძელებს ბრძოლასო. როდესაც ამ მანიფესტის მიღმა დადგა მელია და ნაციონალური მოძრაობის რაღაცა ნანილი, უკვე ცხადი გახდა, რომ ამ პარტიასთან არაფერი აკავშირებდათ. მე, ასევე, ძალიან კარგად მახსოვს ინგა გრიგოლიასთან ნიკა მელიას ეთერი, როდესაც მას ჰკითხა ჟურნალისტმა, თუ თქვენ ამდენი წინააღმდეგობა გაქვთ პარტიასთან, იქ არ უნდა იყოთო, ვციტირებ, ნიკა მელიამ დაადასტურა, რომ მე იქ აღარ ვარო. ანუ მელიამ ეს განცხადება ლევან ხაბეიშვილზე ადრე გააკეთა. ესეც ასევე საჯაროდ, ტელევიზიით გაკეთებული განცხადებაა. რატომღაც ამას არ მოჰყოლია ასეთი აჟიოტაჟი. ამხელა კაცი, ტელევიზიით რომ აკეთებს განცხადებას, მე აღარ ვარ პარტიაშიო, იმას რაღად უნდა ფორმალური განცხადების დაწერა, ჩემთვის გაუგებარია!

– რა შანსები აქვს ცალკე წასულ მელიას?

– არ ვიცი. ეს თავად უნდა იცოდეს, რა შანსები აქვს. მე ვიცი, რომ შანსები აქვს მიხეილ სააკაშვილს და ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს თავისი ელექტორატი და პარტიის მთლიანობა. მე არ ვიცი, შიგნით, პარტიაში რა პრობლემები არსებობს. შეიძლება ორივე მხარეს აქვს თავისი სიმართლე, მაგრამ გარედან რაც ჩანს, ეს გამოიყურება ძალიან უსიამოვნოდ და იკითხება ასე, რომ პარტიის შიგნით ძალაუფლების გადანაწილება მიდის. ყველას უკან დარჩება საკუთარი პარტიები და ძალაუფლება, თუ 2024 წლის არჩევნებში ხელისუფლების შეცვლა ვერ მოახერხეს.

– ვერ ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი „ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს?

– მე არ მგონია, რომ ვინმე ისეთი ბრიყვი იყოს, რომ ამას ვერ ხვდებოდეს.

– გავრცელდა ასეთი კულუარული ინფორმაცია, რომ ნიკა მელია შიდა ჩატის და პარტიის სამზარეულოს გამოტანას აპირებს, განსაკუთრებით კი, კეზერაშვილის მიმოწერისო. ალბათ ახალი სკანდალი ელოდება პარტიას...

– თუ ნიკა მელია ამას გააკეთებს და პირად ჩატს გამოიტანს, დააზიანებს მხოლოდ თავის თავს და თავის პოლიტიკურ პერსპექტივას. პირადი საკითხების გარეთ გამოტანა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე კაცისთვის არის ცნობილი, მე არ მიმაჩნია სწორად. თუ სხვა არგუმენტები მას არა აქვს პარტიის წინააღმდეგ, მაშინ მთლად კარგად ვერ ჰქონია საქმე. რა დროს ეს შიდა გარჩევებია, როდესაც პარტიის მთავარი ლიდერი არის დაპატიმრებული და წინ არის ურთულესი არჩევნები. მე რომ ნიკა მელიას ადგილას ვყოფილიყავი და სულ რომ ცამდე მართალი ვყოფილიყავი ახალ მმართველობასთან, ჩემი გადაწყვეტილება იქნებოდა ასეთი, რომ ყველა შიდა პრობლემაზე გამოვაცხადებდი მორატორიუმს, დავამარცხებდით „ოცნებას“ და მერე მოხდებოდა პარტიის წმენდა და გადახალისება. აი ეს იქნებოდა მისთვის პოლიტიკურად ყველაზე მომგებიანი. ამით გაცილებით მეტ ავტორიტეტს შეიძენდა.

– მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და როგორ ფიქრობთ, შეიწყალებს მას პრეზიდენტი ზურაბიშვილი?

– მართალი გითხრათ, ამასთან დაკავშირებით არანაირი განსაკუთრებული მოლოდინი არა მაქვს. გააჩნია, როგორ დასჭირდება სალომე ზურაბიშვილის მომავალ გეგმებს. ყველაფერი ამაზე იქნება დამოკიდებული. ცხადია, რომ სალომე ზურაბიშვილს აქვს გარკვეული პოლიტიკური გეგმები.

– ეს უკვე გამოიკვეთა? რა გეგმები შეიძლება ჰქონდეს მას?

– ჩვენ ამ საკითხზე არაერთხელ გვისაუბრია, რომ აუცილებლად გამოიკვეთება სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური გეგმები. ქალბატონი სალომე შეიძლება აღმოჩნდეს გარკვეული გამაერთიანებელი ფაქტორი იმ ოპოზიციური პარტიებისთვის, რომლებიც თვითონ ვერ ახერხებენ და ვერ პოულობენ ერთმანეთისკენ მისასვლელ გზებს. პრეზიდენტი, ინსტიტუციონალურად მნიშვნელოვანი ფიგურაა. მიუხედავად მისი დაზიანებული იმიჯისა, ის შეძლებს, რომ პოლიტიკურ პარტიებს თუ ფიგურებს თავი მოუყაროს.

– მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, შუა უნდა შეიკრიბოსო და იქნება ამის ორგანიზატორი ქალბატონი პრეზიდენტი?

– კი, რასაკვირველია, იქნება. „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა რაც არიან, ასე რჩებიან, ხოლო დანარჩენი ოპოზიციური პარტიებისთვის იქმნება შესაძლებლობა, რომ აღმოჩნდნენ აი ამ შეკრებილ შუაში. ერთმა კარგმა ადამიანმა მითხრა და ძალიან მომეწონა: თუ პრეზიდენტი და გახარია შეიკვრებიან, ეს იქნება გადასარევი საშუალება მათთვის, ვისაც ქოცობა უნდა, მაგრამ არ უნდა, რომ ამისი რცხვენოდეს.

– რას იტყვით „ქართულ ოცნებაზე“? ბოლო პერიოდია ბევრს საუბრობენ, რომ პრემიერად კალაძეს ამზადებს ივანიშვილი. როგორ ფიქრობთ, სჭირდება მას ასეთი ცვლილება?

– მე როგორც ვიცი, კალაძეს ამის ამბიცია დიდი ხანია აქვს. ჩემი ინფორმაციით, ეს იგეგმებოდა ცოტა ადრეც, ვაკის პარკის ტრაგედია რომ არ მომხდარიყო, შადრევანთან დაკავშირებით, შეიძლება კალაძის პრემიერობის იდეა უკვე რეალიზებული ყოფილიყო. ვერ გეტყვით, რას მისცემს ივანიშვილს კალაძის პრემიერმინისტრობა. კალაძეს კი ბევრს მისცემს. მის გაზრდილ მადას, გაზრდილი შესაძლებლობები ზედ დაააკვდება. ივანიშვილს ზოგადად უყვარს ექსპერიმენტები და ახალ ექსპერიმენტს თუ შემოგვთავაზებს, არ ვიცი. ის კარგად ერთობა ამ „თოჯინების სპექტაკლით“ და არ ვიცი, ბოლო სპექტაკლს როგორი სახით წარმოგვიდგენს.

თინა ბოკუჩავა: „კაცი დეპუტატები ქალ დეპუტატებს თავს ესხმიან“

„ქართული ოცნების“ კაცი დეპუტატები ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების წინააღმდეგ ძალადობას, სიძულვილის ენას და თავდასხმას არ ერიდებიან – მაინტერესებს, რომელი თქვენგანი იტყვის, რომ ქალის ამგვარი შეურაცხყოფა ან ქართულია, ან ეროვნულია, ან კაცურია, ან ევროპულია, ან რაიმე მორალში, ან სტანდარტში ჯდება, – ასე მიმართა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ თინა ბოკუჩავამ „ქართული ოცნების“ წევრებს.

მისი თქმით, წინა კვირას საქართველოს თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ უკიდურესად ამორალური, უხამსი სიძულვილის ენა გამოიყენა ოპოზიციონერი ქალი დეპუტატის წინააღმდეგ.

ამგვარ თავდასხმას უკვე სისტემატური ხასიათი აქვს, როდესაც „ოცნების“ კაცი დეპუტატები არ ერიდებიან ძალადობას, სიძულვილის ენას და თავდასხმას ოპოზიციონერი ქალი დეპუტატების წინააღმდეგ. ეს არის საქართველოს პარლამენტისთვის უდიდესი სირცხვილი და მათ შორის, ამგვარი ამორალურობა საქართველოს პარლამენტს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კი, არ უნახავს. სავარაუდოდ, ეს თქვენი ბოლო ჟამისკენ მიანიშნებს.

ის, რომ პრაქტიკულად დუმხართ ამ ფაქტებზე, თქვენც, თითოეულ თქვენგანს, ამ პროცესის თანამონაწილეს გხდით. პოზიციონირებთ ხოლმე, როგორც ქართული, ეროვნული, „ქართველობის“ დამცველი პოლიტიკური ძალა და მე მაინტერესებს, რომელი თქვენგანი იტყვის, რომ ქალის ამგვარი შეურაცხყოფა ან ქართულია, ან ეროვნულია, ან კაცურია, ან ევროპულია, ან ჯდება რაიმე მორალში ან სტანდარტში? სამარცხვინოა ეს და მეტიც, ეს არის დანაშაულის წახალისება ქვეყანაში, სადაც ქალთა მიმართ ძალადობა ძალიან სერიოზული პრობლემაა.

თქვენი ფიზიკური ძალადობა, ბატონო შალვა, ისევე, როგორც ბერაიას სიძულვილის ენა, ისევე, როგორც ლევან მგალობლიშვილის ძალადობა, ეს არის ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პირდაპირი წახალისება, ქვეყანაში, სადაც ეს არის ძალიან მძიმე პრობლემა. იმის მაგივრად, რომ საქართველოს პარლამენტი თავის კანონშემოქმედებითი საქმიანობით ამ პრობლემას აგვარებდეს, თქვენი რიტორიკით, თქვენი საქციელით, თქვენი ქმედებით აღრმავებთ მას. ამასთან, იმით, რომ თვალს ხუჭავთ და თანაზიარი ხდებით იმის, რაც ჩვენ ბერაიას მხრიდან მოვისმინეთ, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

ირაკლი კობახიძე: „ლელოს“ ერთადერთი განზრახვა არის საკუთარი მოსახლეობის გაღარიბება“

არის უამრავი ქართველი, რომელსაც მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობა აქვს და ყიდულობს უძრავ ქონებას საქართველოში, ცარიელი სპეკულაციებია ეს ყველაფერი, რომლის ერთადერთი მიზანი რამენაირად ქვეყნის გაღარიბებაა, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

– რაც შეეხება უძრავი ქონების შეძენას, ეს არის ცარიელი სპეკულაციები. არავითარი პრობლემური მაჩვენებელი არ არის ამ კუთხით. პლუს ამას, არის უამრავი ქართველი, რომელსაც მხოლოდ რუსეთის მოქალაქეობა აქვს და ყიდულობს უძრავ ქონებას საქართველოში.

ცარიელი სპეკულაციებია ეს ყველაფერი. ერთადერთი მიზანი ამ ყველაფერს აქვს ის, რომ რამენაირად გაღარიბდეს ქვეყანა, მოსახლეობა. მეტი მიზანი ამ ყველაფერს არ აქვს. ეს არის „ლელოს“ მიზანი – დაწესდეს სანქციები ამა თუ იმ ფორმით, რომ სინამდვილეში დაისაჯოს ჩვენი ქვეყანა და მოსახლეობა. რეალურად, როცა შენი სანქციებით ვერანაირ ზიანს ვერ აყენებ რუსეთს, მაგრამ ზიანს აყენებ შენს ქვეყანას და მოსახლეობას, აქ ხომ ძალიან მარტივად ჩანს, რა არის მათი განზრახვა. მათი ერთადერთი განზრახვა არის საკუთარი მოსახლეობის გაღარიბება. ამისთვის „იღვწიან“ „ლელო“ და „ლელოს“ წარმომადგენლები, – აღნიშნა კობახიძემ.

„2012 წელს, ერთ-ერთი დეპუტატის ოჯახში დაიბარეს სააკაშვილი და უთხრეს, თქვენ არ უნდა იყოთ და ვანო მერაბიშვილი უნდა გახდეს პრემიერიო“

– 2012 წელს, როდესაც მიხეილ სააკაშვილს ეწურებოდა მეორე ვადით პრეზიდენტობა, მას მიადგნენ დღევანდელი არაფორმალური მმართველები ერთ-ერთი მოქმედი დეპუტატის ოჯახში და უთხრეს, რომ თქვენ არ უნდა იყოთ პრემიერი და პრემიერ-მინისტრი უნდა გახდეს ვანო მერაბიშვილიო, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა, მამუკა გუგეშაშვილმა აჭარის ტელევიზიის გადაცემა ვახო ხუზმიაშვილის „თავისუფალ სივრცეში“ განაცხადა.

მისი თქმით, იმ პერიოდიდან, სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ ებრძოდნენ და ახლა მოახერხეს, პარტიის ხელში ჩაგდება.

– ხაბეიშვილი დადიოდა და ებრძოდა „ნაციონალურ მოძრაობას“, მათ შორის, კეზერაშვილს და სააკაშვილსაც აგინებდა... – ამბობს გუგეშაშვილი.

ის, ამ ეტაპზე, არ აკონკრეტებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს პარტიაში დარჩენასთან დაკავშირებით.

– ჯერჯერობით, ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით ნაციონალურ მოძრაობაში, მერე სად ვიქნებით, გადავწყვეტთ ამომრჩეველთან ერთად. სადაც ღირსება და სიმართლე იქნება, იქ ვიქნებით... – თქვა მამუკა გუგეშაშვილმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი

სარფში 146.000 ლარის არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტი აღკვეთეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი", მებაჟე ოფიცრების მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქის როგორც ფიზიკური, ასევე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, დიდი ოდენობით არადეკლარირებული ძვირფასი ქვებით შემკობილი ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა – 171 გრამი) გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 146.000 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა.

ვაზისუბანში, ცემენტმზიდის დაჯახების შედეგად, ერთი ადამიანი გარდაიცვალა

თბილისში, ვაზისუბანში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

არსებული ინფორმაციით, ცემენტმზიდი ქვეითად მოსიარულე, 65 წლამდე მამაკაცს დაეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

პროკურატურამ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ოჯახში ძალადობის ფაქტზე სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს ბრალდება წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 26 ნოემბერს, რუსთავში, სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელმა მ. ლ.-მ, გენდერის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, მეუღლის ე. მ.-ს მიმართ, მათივე მცირეწლოვანი შვილის თანდასწრებით ძალადობა განახორციელა.

მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით (ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას კაბუს საქმეზე გაასაჩივრებს

საქართველოს პროკურატურა მსახიობის, კახა აბუაშვილის, იგივე „კაბუს" მიმართ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განცხადებას ავრცელებს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, პროკურატურა არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც გენდერული ნიშნით, დისკრიმინაციის მოტივით, ცემის, მუქარის და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა და გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გაასაჩივრებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 25 ნოემბერს, თბილისში, ავტომანქანით გადაადგილებისას, კ.ა.-მ მასთან ერთად მყოფ ქალს – თ.ა.-ს ფეხის არეში დანის ტარი ჩაარტყა და ასევე, ხელი რამდენჯერმე გაარტყა. აღნიშნულის შედეგად, თ.ა.-მ ფიზიკური ტკივილი განიცადა და სხეულის დაზიანება მიიღო. გარდა ამისა, ბრალდებული დანის ტემონსტრირებით, ჯანმრთელობის დაზიანებით და დასახიჩრებით დაემუქრა დაზარალებულს და გახსნილი დანა მისი მიმართულებით ორჯერ მოიქნია.

კახეთის გზატკეცილზე მსვლელობისას, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შენობის მიმდებარედ, დაზარალებულმა შენიშნა გაჩერებული საპატრულო პოლიციის ავტომანქანა, ბრალდებულის ავტომანქანაში მყოფმა თ.ა.-მ, კარი გააღო და პოლიციას დასახმარებლად მოუწოდა. პოლიციელებმა ბრალდებულის მისამართით განახორციელეს დევნა, შეაჩერეს ავტომანქანა და დაზარალებულის მითითებით, კ.ა. ადგილზე დააკავეს.

ამასთან, გამოძიებით დადგენილია, რომ კ.ა.-მ უკანონოდ შეიძინა და ინახავდა ორ ცალ პოლიეთილენის ჩამკეტიან პაკეტში მოთავსებულ ნარკოტიკულ საშუალება ალფა-პვპ-ს, საერთო წონით – 1,28 გრამს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით (გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია), 151-ე მუხლის პირველი ნაწილით (გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ჯანმრთელობის დაზიანების მუქარა) და 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა) წარედგინა.

პროკურატურამ თბილისის საქალაქო სასამართლოს ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა, თუმცა სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო 10.000 ლარი პატიმრობის უზრუნველყოფით შეუფარდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას პროკურატურა სააპელაციო სასამართლოში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრებს.

თბილისში აგრესიული პირი ავტობუსში დანით მგზავრებს ემუქრებოდა

ინციდენტი 28 ნოემბერს, თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში მოხდა ავტობუსში ცივი იარაღით შეიარაღებული აგრესიული პირი მგზავრებს დაუპირისპირდა და დაჭრით დაემუქრა. მიზეზი კი მგზავრების მიერ მიცემული შენიშვნა იყო, რომ დანით შეიარაღებულ პირს ტრანსპორტში სიგარეტის მოწევა შეეწყვიტა.

ამის შემდეგ, დანით შეიარაღებული პირი იქ მყოფებს, მათ შორის, არასრულწლოვნებს ემუქრებოდა. საბოლოოდ აგრესიული მოქალაქე ავტობუსის გარეთ აღმოჩნდა. მგზავრები კი პოლიციამ გამოკითხვაზე გადაიყვანა.

შსს არაფერს ამბობს, დაკავებულია თუ არა შეიარაღებული პირი.

როგორც თვითმხილველი ამბობს, გამოკითხვაზე შეიტყო, რომ პოლიციამ კარგად იცის, ვინაა აღნიშნული პირი და სამართალდამცველები ამბობენ, რომ მას ფსიქიკური პრობლემები აქვს.

– პოლიციის უფროსი გეუბნება, რომ ეს კაცი არაა ფსიქიკურად ჯანმრთელი, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ და ჯერჯერობით ასეთი აგრესია არ გამოუხატავს. რას ნიშნავს, ცოტა გვანამუსებს, რომ ფსიქიკურად არაჯანმრთელ ადამიანს რატომ ვუჩივით? – ამბობს თვითმხილველი „მთავარ არხთან".

„სააკაშვილი შეიძლება მელიას გუნდში აღმოჩნდეს"

ვახტანგ ძაბირაძე: „კეზერაშვილ-მერაბიშვილი შეადგენს ნაციონალების საარჩევნო სიას. ახლა ამაზეა ბრძოლა!"

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, როგორ ფიქრობთ, ნაციონალურ მოძრაობაში რა პროცესს ვადევნებთ თვალყურს?

– ნაციონალურ მოძრაობაში უკვე მერამდენედ აშკარა ფრაგმენტაციის პროცესი დაიწყო. ლევან ხაბეიშვილს თავმჯდომარის პოსტზე ელექტორატის 60 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ნიკა მელიას 40 პროცენტმა, მაგრამ რაც დღეს ხდება, ეს სულ სხვა რაღაცაა.

მელია მართალი იყო, რომ არჩევნების შემდეგ პარტია არ დატოვა. ეს არის ტაქტიკურად სწორი სვლა. დღეს მუმლაძე, რომელიც კენჭს ასევე იყრიდა ხაბეიშვილსა და მელიასთან ერთად, აცხადებს, რომ ხაბეიშვილმა თავმჯდომარის პოსტი უნდა დატოვოს და რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს.

– თუმცა, პეტრე ცისკარიშვილი ამბობს, რომ 2025 წლამდე არ იქნება პარტიის თავმჯდომარის არჩევნები.

– თუ მოვლენები ასე განვითარდება და ელექტორატი გამოვა შიდა პარტიული არჩევნების მოთხოვნით, ცისკარიშვილმა რაც არ უნდა თქვას, რიგგარეშე არჩევნები დაინიშნება. უკვე პარტიაში გამოჩნდა ხალხი, ვინც რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. თუ ასე გაგრძელდება, ეს იქნება პარტიაში კრიზისი. კრიზისს კი ვერაფრით მოაგვარებენ არჩევნების გარეშე.

– თქვენ ამბობთ, რომ მელიაც ამას ელოდება და ამიტომ არ ტოვებს პარტიას?

– ძალიან სწორია თუ ამას ელოდება და განმეორებით იყრის კენჭს.

– მოიგებს?

– აუცილებლად მოიგებს თუ რიგგარეშე არჩევნებს მიაღწევს. თუმცა, თუ ასე არ განვითარდება მოვლენები და ხაბეიშვილი პოსტს შეინარჩუნებს, მაშინ მელიას მოუწევს პარტიის დატოვება, რაც ნამდვილად იქნება პარტიის შუაზე გაყოფა.

– ელექტორალურად?

– დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. ამომრჩევლის ნახევარს თუ მეტს არა, გაიყოლებს მელია. გუნდის თვალსაზრისითაც შედარება არ შეიძლება, გამოცდილების, აზროვნების, დონის თვალსაზრისით. თინა ბოკუჩავას ნამდვილად ვერ შევადრი ხატია დეკანოიძეს ვერანაირი პარამეტრით. დეკანოიძე, რომან გოცირიძე და ეკა ხერხეულიძე მელიას გუნდში იქნებიან და არა ხაბეიშვილის.

რაც შეეხება ხაბეიშვილს, სანამ ის თავმჯდომარე გახდებოდა, მისი აქტიურობა, მისი ტონი გასაგები იყო, მაგრამ დღევანდელი მისი სახე და იმიჯი სრულიად გაუგებარი და ამოვარდნილია. მისი მთელი წინასაარჩევნო დაპირება სააკაშვილის ციხიდან დახსნით დაწყებული და დაუმორჩილებლობის კამპანიით დასრულებული, ბლეფი აღმოჩნდა. ამას დაემატა კეზერაშვილ-მერაბიშვილის მიზნები. ყველაფერი სრულიად ცალსახა და ნათელი გახდა მათივე ამომრჩევლისთვის. ამიტომ ვამბობ, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი მზად არის, არჩევანი კვლავ გააკეთოს. მათთვის ცალსახაა არაფორმალური მმართველობა კეზერაშვილ-მერაბიშვილის მხრიდან და ხაბეიშვილის ნომინალური თავმჯდომარეობა. არათუ ხაბეიშვილი არის პარტიის ნომინალური მმართველი, აშკარაა, რომ სააკაშვილიც კი ნომინალური ფიგურაა. პარტიაში რეალურად ვერაფერს წყვეტს.

როგორც ჩანს, ახლა მთელი ბრძოლა იმაზეა, თუ ვინ შეადგენს 2024 წლის საარჩევნო სიას. საკუთარი გუნდის გავლენებისთვისაა ბრძოლა.

– როგორ ფიქრობთ, საარჩევნო სიას ვინ შეადგენს?

– სააკაშვილს ძალიან გაუჭირდება, რამდენიმეკაციან კვოტას თუ მისცემენ. კეზერაშვილ-მერაბიშვილი შეადგენს ნაციონალების საარჩევნო სიას. ახლა ამაზეა ბრძოლა.

– სააკაშვილი თავის პოზიციას ღიად ისევ არ აფიქსირებს. რატომ?

– ელოდება მოვლენების განვითარებას. ის ჯერ ისევ შეინარჩუნებს ნეიტრალურ პოზიციას, მაგრამ, საბოლოო ჯამში, როდესაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ნიკა მელიას გუნდში აღმოჩნდეს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დიდი სიხარულით არ შეხვდნენ, მაგრამ მიღებით, მაინც მიიღებენ.

– მელია არჩევნებში 5-პროცენტიან ბარიერს გადალახავს?

– თავისუფლად გადალახავს. რეგიონებში, ადგილობრივ დონეზე სერიოზული მხარდაჭერა აქვს. ხაბეიშვილის ლიდერობით და კეზერაშვილ-მერაბიშვილის არალეგალური თავმჯდომარეობით, ამ პარტიას არავინ შეემატება თუ არ მოაკლდება.

გია ვოლსკი: „მათი მთავარი რესურსი ბოიკოტია, ასე ინარჩუნებენ თავს პოლიტიკურ ასპარეზზე"

დეპოლარიზაცია არ არის მათი ამოცანა, დესტაბილიზაციის გეგმა, სტრატეგია არ იცვლება. დასაშვებია, რომ ფორმალურად, პოლიტიკურ სპეკულაციებში გამოსაყენებლად სამუშაო ჯგუფებს შეუერთდნენ, კომიტეტებზეც იაქტიურონ, მაგრამ საბოლოო ჯამში, ბოიკოტი არის მათი მთავარი რესურსი, რითაც ინარჩუნებენ თავს პოლიტიკურ ასპარეზზე, – განაცხადა ქართული ოცნების დეპუტატმა, გია ვოლსკიმ.

თაკო ჩარკვიანი: „ჯერ დაუბრუნოს გაღატაკებულ თბილისელებს, კაცები რომ გადაამტვრია წელში მისმა ბანკმა და ცოლები რომ გაუქცია"

– რა თბილისი უნდა დაიბრუნოს, ჯერ დაუბრუნოს გაღატაკებულ თბილისელებს, კაცები რომ გადაამტვრია წელში მისმა ბანკმა და ცოლები რომ გაუქცია. 2 პროცენტად რომ შემოგაქვს პროცენტი და 31-ად უპროცენტებ შენს ხალხს, მევახშე ხარ, აბა ბანკირი ხარ?! – ამის შესახებ ოპოზიციონერმა დეპუტატმა, თაკო ჩარკვიანმა, „ლელოს" ლიდერის, მამუკა ხაზარაძის შესახებ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, საბანკო სისტემას ანადგურებს სალომბარდე სისტემის ბანკებზე მიბმა.

– საბანკო სისტემას თუ ანადგურებს რაიმე, ეს არის მევახშეური სისტემა. ეს არის, საბანკო სისტემა შეკრული რომ არის ლომბარდებთან, საკუთარი სალომბარდე სისტემა რომ აქვთ. ახალია ეს ყველაფერი? – აღნიშნა ჩარკვიანმა.

მისივე თქმით, ხაზარაძე შერწყმული იყო წინა ხელისუფლებასთან და მის მიერ გაპროტესტებული საბანკო პოლიტიკა არ ახსენდება.

– ყოფილი ხელისუფლების დროს, იქნებ მე არ მახსოვს, იქნებ ხალხს არ ახსოვს, ეს კაცი შერწყმული იყო იმ სისტემასთან და გაპროტესტებული გინახავს საბანკო პოლიტიკა რომელიმე ხელისუფლების დროს მის მიერ? – განაცხადა თაკო ჩარკვიანმა.

ნაციონალურ მოძრაობაში კრიზისი გაღრმავდა

„9 თვეა, ეს გაუგებრობა გრძელდება“

მარიამ მჭედლიშვილი

ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში შექმნილ დავიდარაბას ბევრი უწოდებს „ქაოსს“. სააკაშვილის ინიციატივამ მანიფესტზე ხელმოწერის თაობაზე, რასაც ხაბეიშვილის მხრიდან უცნაურობა მოჰყვა, პარტიაში არსებული კრიზისი კიდევ უფრო გააღრმავა.

კლინიკა „ვივამედში“ მყოფმა ექსპრეზიდენტმა თავიდანვე გამოაცხადა, რომ ვინც მანიფესტს ხელს არ მოაწერს, პარტიის მიღმა აღმოჩნდება.

მანიფესტს ხელი ბევრმა არ მოაწერა, თუმცა, განტევების ვაცად მარტო პარტიის ყოფილი თავმჯდომარე, ნიკა მელია აქციეს. მის „გარიცხვას“ შოუს სახე მიეცა. მოქმედმა თავმჯდომარემ „ფორმულას“ ეთერში ხელი მოაწერა გამზადებულ ფურცელს, სადაც საუბარია ნიკა მელიას პარტიიდან გარიცხვაზე.

ცნობილია, რომ ხაბეიშვილის ამ საქციელს დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის იმ წევრებშიც, რომლებიც მელიას გუნდელებად არ ითვლებიან (ყოველ შემთხვევაში, აქამდე არ ითვლებოდნენ). მურთაზ ზოდელავამ, მაგალითად, ამას უწოდა „კიკუს პოზაში ჩადგომა“.

განსხვავებული აზრის ქონა არ არის პარტიიდან გარიცხვის საფუძველი. გიორგი ბარამიძე აღიარებს, რომ მას ბევრჯერ გამოუთქვამს განსხვავებული აზრი. მისი პოზიცია ახლაც არ ემთხვევა პარტიის თავმჯდომარისას. ის არ ეთანხმება მელიას გარიცხვას.

ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის, თინა ბოკუჩავას განმარტებით, ნიკა მელია გაირიცხა იმიტომ, რომ მანიფესტის ხელმოწერის ინიციატივას თავისი საჯაროდ წარმოთქმული წინადადებები დაუპირისპირა.

მელიას, მართლაც, ჰქონდა საკუთარი ინიციატივა. მისი აზრით, პარტიაში უნდა შექმნილიყო ნდობის უფლებამოსილი საბჭო. ამას მხარი დაუჭირეს მოქალაქეებმა. მელიას ინფორმაციით, ამ მიზნით შეგროვდა 40 000 ხელმოწერა. მელია ყოველთვის ამბობდა, რომ ეწინააღმდეგება არაფორმალურ (კეზერაშვილ-მერაბიშვილის) გავლენას პარტიაში.

თინა ბოკუჩავას განმარტებები გაუგებარია. ფაქტობრივად, ხაბეიშვილი და მის პოზიციაზე მყოფი ნაციონალები ვერ ასაბუთებენ მელიას გარიცხვას. საბოლოოდ, რეიტინგით პირველი ოპოზიციური პარტია ჩიხშია შესული. პარტიაში უთანხმოება დიდი ხანია მიმდინარეობს.

– უკვე ნახევარი წელი თუ 9 თვეა, ეს გაუგებრობა გრძელდება. ძალიან დიდი ყურადღებაა მიქცეული. საბოლოო ჯამში, ამის გამო სხვა უფრო მნიშვნელოვან თემებზე ვერ ვლაპარაკობთ. რაც მთავარია, არ გვესმის, ნაციონალური მოძრაობა როგორი კონფიგურაციით შენარჩუნდება და ვის უნდა დაელაპარაკო, – ამბობს „გირჩის“ წევრი ალექსანდრე რაქვიაშვილი.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ვიცე-სპიკერი გიორგი ვოლსკი აცხადებს, რომ ნაციონალურ მოძრაობაში დაშლის პროცესი მიმდინარეობს. მისი დასკვნით, ეს პარტია კი არა, რევოლუციური კომიტეტია, ხაბეიშვილს კი პარტიის მართვის ცოდნა არა აქვს.

ანალიტიკოსი გია ხუხაშვილი დარწმუნებულია, რომ მელიას მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ნაციონალურ მოძრაობას ძვირად დაუჯდება:

– ცუდ დღეში არიან. მელიას გაშვება, საბოლოო ჯამში, ძვირი დაუჯდებათ. ძალიან დიდ ფასს გადაიხდიან. ნაციონალურ მოძრაობას უფლება არ აქვს, „ქართულ ოცნებაში“ ჩრდილოვან მმართველობაზე ილაპარაკოს, როდესაც თავად ორმაგი და სამმაგი ჩრდილოვანი მმართველობა აქვთ.

ხუხაშვილის თქმით, ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის უმრავლესობას ხაბეიშვილი არ მოსწონს. მისი სიტყვებით, მელიას დიდი შიდა პარტიული ავტორიტეტი აქვს და რაც დრო გადის, ის თავის პოზიციებს უფრო აძლიერებს.

ექსპერტის თქმით, პარტიის ცნობილი სახეების უმრავლესობა მელიას მხარესაა. „ხაბეიშვილი „ლაფატკაზე“ ზის და მისი გაშვებაც უნდათ“.

ნიკა მელიას ჰყავს მომხრეები და აქვს ავტორიტეტი. საკითხავია, რატომ არ გაემიჯნა ის ხაბეიშვილსა და ჩრდილოვან მმართველებს. როცა პარტიაში განხეთქილებაა, დაპირისპირებულები იყოფიან ხოლმე.

„რუსეთის პოზიციები ცენტრალურ აზიაში სუსტდება“

„პუტინის უკანა ეზოდ“ რეგიონის მოხსენიებამ საზოგადოება გაანაწყენა

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო, რომელიც ხდება ევროკავშირის წევრობის კანდიდატი, პოლიტიკურად და კულტურულად განსხვავდება ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისაგან. ამასთან, საქართველოს ამ ქვეყნებთან საერთოც აქვს. საქართველო, ისევე, როგორც ცენტრალური აზიის ზოგიერთი სახელმწიფო, ჩართულია ტრანსკასპიურ დერეფანში და სხვა პროექტებში. აქაც და იმ რეგიონშიც აქტიურობს ჩინეთი. სამწუხაროდ, საქართველოშიც და ცენტრალურ აზიაშიც შენარჩუნებულია რუსეთის პოლიტიკური გავლენა და დიდია დამოკიდებულება რუსეთის ეკონომიკაზე.

ცენტრალურ აზიას მსოფლიოში ეძღვნება ბევრი სტატია და მრგვალი მაგიდა. „ბლუმბერგის“ მასალაში ნახსენები იყო მაკრონის ვიზიტი ამ რეგიონში და ის შედარებული იყო „პუტინის უკანა ეზოსთან“. ეს ტერმინი შეურაცხყოფად აღიქვეს ცენტრალური აზიის წარმომადგენლებმა.

ყაზახი დოქტორანტი აკბანა კარიბაევა აცხადებს, რომ ცენტრალური აზიისთვის „პუტინის უკანა ეზოდ“ მოხსენიება არაეთიკური და უვიცი ჟურნალისტიკის ახალი დონეა.

ყირგიზი მკვლევარი ასელ დოოლოტკელდინოვა დასავლეთში გამოთქმულ ამგვარ გამოთქმებს რუსეთისას ადარებს:

– რით განსხვავდება ეს დისკურსი რუსეთის იმპერიული დისკურსისგან ცენტრალური აზიის შესახებ?

უზბეკი მკვლევარი აკრამ უმაროვი საუბრობს რეგიონის განვითარებაზე:

– ქვეყნებმა, რომლებსაც ცენტრალურ აზიასთან ურთიერთობების განვითარება სურთ, უნდა დააფასონ უნიკალურობა, რომელიც ყალიბდება რეგიონში. ცენტრალური აზია ორიენტირებულია საკუთარ განვითარებაზე. მას უნდა, რომ აშშ და სხვა პარტნიორები მტკიცე იყვნენ თავის ვალდებულებებში და გამოავლინონ გრძელვადიანი ინტერესი.

ამერიკელი მკვლევარი ერიკ რუდენშილდი აშშ-ის ხელისუფლებას რეგიონში აქტიურობისკენ მოუწოდებს.

– ამერიკელი დიპლომატები და ექსპერტები უგზავნიან სიგნალებს ცენტრალური აზიის დედაქალაქებს, მაგრამ მათ არ აქვთ საკმარისი რესურსები შემდგომი ზომების მისაღებად. ვაშინგტონს შეუძლია რეგიონს საშუალება მისცეს, რათა მან განავითაროს ბიზნესი საკუთარი პირობებით და არა მოსკოვისა და პეკინის კარნახით, – ამბობს ამერიკელი მკვლევარი.

ჟურნალ „ეკონომისტის“ დასკვნით, ცენტრალური აზიის ქვეყნები ავითარებენ ტრანსკასპიურ დერეფანს რუსეთის გვერდის ავლით. ამასთან, ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და უზბეკეთის ეკონომიკები იკვებება რუსეთში სამუშაოდ წასული მიგრანტების გადმორიცხვებით, ხოლო ყაზახეთი საკუთარი ნავთობის 90%-ის ექსპორტს ახდენს რუსეთზე გამავალი ნავთობსადენით.

ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებობს შეფასება, რომ რუსეთის გავლენა რეგიონში სუსტდება. ბერლინში მცხოვრები მკვლევარი თემურ უმაროვი მიიჩნევს, რომ რუსეთის პოზიციების დასუსტების ტენდენცია რუსეთის უკრაინაში შეჭრამდე დაიწყო. გამოკითხვები კი ადასტურებს, რომ ცენტრალური აზიის საზოგადოებაში იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც მოსკოვი პარტნიორად არ უნდა.

ეკონომიკა

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რაჭაში სამონადირეო მეურნეობის ლიცენზია ძალადაკარგულად გამოაცხადა

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კომპანია შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკს“, რომელიც ბიზნესმენ დავით ხიდაშელთან არის დაკავშირებული, სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად სპეციალური ლიცენზია გაუუქმა.

აღნიშნულ საკითხზე გარემოს ეროვნული სააგენტო განცხადებას ავრცელებს.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ კომპანიაზე შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“ რაჭაში სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ 2022 წლის 23 მარტის №38/ს ბრძანება ძალადაკარგულად გამოაცხადა, შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია (N000019) გაუქმდა.

კომპანიის „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“ მიერ სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წლის მაისში იქნა შედგენილი. ლიცენზიების და ნებართვების კანონი, ისევე, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ითვალისწინებს გარკვეულ სამართლებრივ ქმედებებს, თუკი სახეზე არის ვალდებულებების შეუსრულებლობა.

აღნიშნულის საფუძველზე, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების პროცესი დაიწყო. წარმოების ფარგლებში, სააგენტომ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოებები; დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით ჩატარდა ზეპირი მოსმენა, სადაც მხარეებს შესაძლებლობა მიეცათ, წარმოედგინათ მოსაზრებები და არგუმენტები სალიცენზიო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. განხილვის შედეგად, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რაჭაში სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების გადაწყვეტილება მიიღო.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია განვითარებაზე ორიენტირებული ყველა პროექტის მხარდაჭერა, თუმცა, შეთანხმებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული ზომები იქნება მიღებული.

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი ეცემა



მსოფლიო ბაზარზე ერთი ბარელი Brent-ის ტიპის ნედლი ნავთობის საერთაშორისო საორიენტაციო მაჩვენებელი 80 აშშ დოლარზე დაეცა, ხოლო ჭესტ თეხას Iნტერმედიატე-ის ფასი 76.6 აშშ დოლარამდე შემცირდა. საუბარია ერთკვირიან პერიოდზე, როცა საქონლის ღირებულება 3%-ით შემცირდა.

ნავთობზე ფასის კლების უმთავრეს მიზეზად OPEC+-ის შეხვედრის მოლოდინი სახელდება.

OPEC+-ის კრიტიკულად მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც 26 ნოემბერს უნდა შემდგარიყო, მხოლოდ 4 დღით, თუმცა გადაიდო, რადგან, კვოტების შესახებ დავის ფონზე, მიწოდების პოლიტიკის საკითხი ჯერ კიდევ გადასაჭრელია.

reuters-ი წერს, რომ მიუხედავად შეხვედრის მხოლოდ 4-დღიანი დაყოვნებისა, ინვესტორები შიშობენ, რომ OPEC+-ის წევრ სახელმწიფოებს შორის გარკვეული განხეთქილება არსებობს და მათ მიწოდების საკითხზე შეთანხმების მიღწევა უჭირთ. როგორც ცნობილია, კარტელის ნაწილი ნავთობის მიწოდების უცვლელად დატოვებას ითხოვს, რასაც დასავლეთიდან მომდინარე პოლიტიკური ზეწოლა განაპირობებს. მეორე ნაწილს კი მიწოდების შემცირება და ამით ბირჟაზე ფასების გაზრდა სურს, უშუალოდ ამ იდეას განსაკუთრებით უჭერენ მხარს საუდის არაბეთის და რუსეთის ლიდერები.

ასევე, მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, კარტელი განიხილავს ნავთობის მოპოვების შემდგომ შემცირებას 1 მილიონ ბარელამდე დღეში, საუდის არაბეთი კი წარმოების არსებულ ნებაყოფლობით შემცირებას მინიმუმ პირველი კვარტლის ბოლომდე გაახანგრძლივებს.

წელს საქართველოდან უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში ჯამში 104,4 ათასი ტონა კარტოფილი გაბრუნდა

მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოდან ჯამში, 104,4 ათასი ტონა კარტოფილი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნდა.

შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით, 2023 წელს პროდუქტი 5-ჯერ გაბრუნდა უკან – მიზეზი ყველა შემთხვევაში, სურსათის უვნებლობის მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა იყო.

უფრო კონკრეტულად, 24 ნოემბერს ლაგოდეხში, ბელარუსიდან მომდინარე, 21,5 ტონა კარტოფილით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალება გაბრუნებას დაექვემდებარა. როგორც შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას, ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზით, კარტოფილში საკარანტინო მავნე ორგანიზმების არსებობა დადასტურდა.

პროდუქტით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება ორჯერ გააბრუნეს უკან იანვარშიც. ერთ შემთხვევაში, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“, 42 250 კილოგრამი კარტოფილის შემოწმების შედეგად, პროდუქტში მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოვლინდა, რის გამოც, პროდუქტი რუსეთის ფედერაციას უკან დაუბრუნდა. მეორე შემთხვევაში კი, საქართველომ ლარსის საბაჟოდან სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი 42.000 კგ კარტოფილი გააბრუნა უკან.

საბაჟო კონტროლის შემდგომ მცენარეული წარმოშობის ტვირთები ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას დაექვემდებარა თებერვალშიც, რომელთა შორის იყო კარტოფილი. შემოსავლების სამინისტროს ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“, საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, უცხო ქვეყნიდან შემოტანილი 20.000 კგ. კარტოფილის შემოწმების შედეგად, პროდუქტებში მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოვლინდა.

ასევე, მარტში, „საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი, ჯამში 129.1 ტონა კარტოფილის შემოწმების შედეგად, პროდუქტში მცენარეთა სიჯანსაღისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოვლინდა, რის გამოც კარტოფილი უკან, ექსპორტიორ ქვეყნებს დაუბრუნდათ.

2030 წლამდე მსოფლიოს კიბოს საწინააღმდეგო ვაქცინა ექნება

კიბოს საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა 2030 წლამდე დამტკიცდება, – ამის შესახებ გერმანულ გაზეთ Bild ამ შონნტაგისთვის მიცემულ ინტერვიუში კომპანია BIONTECH-ის დამფუძნებელმა უღურ შაჰინმა განაცხადა.

– ჩვენ ველოდებით, რომ ჩვენი პირველი, რნმ-ს საფუძველზე შექმნილი ანტისიმსივნური ვაქცინები 2030 წლამდე დამტკიცდება. ჩვენ ასევე ვგეგმავთ სხვა თერაპევტული მიდგომების კვლევების შედეგების მიღებას 2025-2029 წლებში, – აღნიშნა მან და ხაზი გაუსვა, რომ მათი მიზანია ისეთი ვაქცინების შექმნა, რომლებიც თითოეული პაციენტისთვის სპეციფიკური იქნება. ამასთან, როგორც შაჰინმა აღნიშნა, ამ ვაქცინებიდან ამორჩეული იქნება ისეთი, რომლებიც იმუნურ სისტემას შესაძლებლობას მისცემს, ამოიცნოს და გაანადგუროს, რაც შეიძლება მეტი სიმსივნური უჯრედი.

კიბოსთან ბრძოლაში კიდევ ერთი იმედია ანტისხეულ-წამლის კონიუგატი (ADC), რომლებიც, შაჰინის თქმით, ქიმიოთერაპიის მატარებელია, ისინი სისხლში ცირკულირებენ, აღწევენ სიმსივნეს და მიზანმიმართულად მოქმედებენ მასზე.

– ამ მკურნალობის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია ძალიან სწრაფად შეამციროს სიმსივნე პაციენტების ძალიან დიდ ნაწილში. დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ADC-ს უფრო და უფრო მეტად გამოიყენებენ თარგეტული ქიმიოთერაპიის სახით კლასიკური ქიმიოთერაპიის ნაცვლად კიბოს მრავალ შემთხვევაში, – განაცხადა შაჰინმა.

როგორ გამოიყვანეს ჟიული შარტავა მთავრობის სახლიდან

ინტერვიუ ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რომელიც ყურნალ „გუმბათში“ დაიბეჭდა.

– ჩემს რაზმში შემოერთებული ბიჭებისაგან ვიგებ, „მაიაკში“, სადაც ჩვენ კორპუსის აივნებზე და კუთხეებში პოსტები გვეყენა, კორპუსებშივე ისხდნენ გაყურსული რუსები მიტოვებულ ბინებში, შესაფერის დროს ელოდებოდნენ გარეთ გამოსავარდნად, შესაბამის ბრძანებას. როცა ერთიანი შტურმი დაიწყო ქალაქზე, გამოლაგდნენ გარეთ ვირთხებივით. ადგილზევე დაუცხრილავთ „ჩემი“ მოხუცი. რუსების დანახვაზე, უკვე სულ ერთი იყო კაცისთვის, დატოვებდნენ თუ არა ცოცხალს. მისი მშობლიური ქალაქი, მისი მშობლიური მიწა იკარგებოდა, ხვდებოდა! იქნებ გამოსავალიც იყო და შვებაც მისთვის ბებერ სხეულზე მიცლილი მჭიდი.

26-ში, ღამით, ყოფილი „პიონერთა ბანაკის“ სასადილოში, შევარდნაძე და 40 მებრძოლია შეკრებილი. გენერატორის შუქი ქრება. ამირან შარმანაშვილი ცდილობს ამუშავებას, არაფერი გამოსდის: ბაკი ვიღაცას ქვიშით აუვსია.

ქალაქში, სისხლისგან დაცლილ მეომრებში, პანიკას თესავენ ვაიქართველები. აღარავინაა ქალაქში დარჩენილი, მეთაურებიც გასულები არიან, მეომრებიც, ბოლო ჩვენა ვართ, – ისტერიულად გაჰკივიან. ასეთებს აწყდებიან ხშირად სხვადასხვა პოზიციებზე გავარდნილი ჯაბა იოსელიანი, თამაზ ფანჩულიძე (წესრიგა), გიო რურუა, გიგა გელაშვილი. იოსელიანი ავტომატის კონდახით ერეკება ასეთ დეზინფორმატორებს მიტოვებულ პოზიციებზე. მხედრიონელებისგან რკალს აკეთებს იოსელიანი პოზიციებიდან გამოსული ხალხის შესაჩერებლად. ყარყარაშვილი ქალაქში დარჩენილი მცირერიცხოვანი ნაწილებისაგან ქალაქის დაცვის გეგმაზე ფიქრობს. საამისოდ არც მეომრების რაოდენობაა, არც შეიარაღება. რაც თან გვაქვს, მხოლოდ იმ შეიარაღების იმედად ვართ (2, ან საუკეთესო შემთხვევაში, 3 მჭიდი, თითო ხელყუმბარა, ისიც არა ყველას), მეტს ვერავინ მოგვცემს, ცარიელია სოხუმი.

სადგურში შემოდის ბატონი ჯაბა ბიჭებთან ერთად. ვატყობინებ, რომ კარგი პოზიციები მიჭირავს, სულ ახლახანს კუდით ქვა ვასროლინეთ პროფესიონალ ვანიებს, შემომიერთდნენ გაბნეული, მცირერიცხოვანი, მაგრამ ბრძოლისუნარიანი ბიჭები, კბილებით ვიცავთ ტერიტორიას. ჩვენ გავუძლებთ. სხვა პოზიციები გაამაგრონ...

„მაიაკისკენ“ დაიხია მეექვსე ბატალიონის ბიჭებმა. ძველი ტურბაზის ზემოთ ბორია ივანოვია სამხედრო პოლიციით, მეორე ბატალიონსაც უჭირავს რომელიღაც პოზიცია. ჯაბა იოსელიანი მხედრიონელებთან ერთად თერთმეტსართულიანი შენობიდან აკონტროლებს ირგვლივ. სიცოცხლის ფასად უჯდებათ რუსებსა და სეპარატისტებს თერთმეტსართულიანის მიდამოებში გამოჩენა.

მეორე ბატალიონი იხსნება, ფუნიკულიორის დაბრუნებაზე ფიქრი უტოპიაა, მეთერთმეტე ბრიგადა გამოსულია, ადგილობრივი თუ ჩასული მეომრების უმეტესობაც. როგორც ჩანს, ქალაქი ბარდება, ბოლო გაფართხალებაა ჩვენ სადგურზე.

– ამ დროისათვის ჟიული შარტავა სად იმყოფება?

– შევარდნაძე, რომელიც ჯერ ისევ სოხუმშია, ჟიული შარტავასთან აპირებს მთავრობის სახლში მისვლას და მის გამოყვანას. ჯაბა იოსელიანი ტელეფონით უკავშირდება შარტავას: „ბატონო ჟიული, როგორაა საქმე?“ „ისვრიან“, – პასუხობს ჟიული წყნარად. „ახლა ყველგან ისვრიან“, – ეუბნება იოსელიანი გასამხნევებლად. „არა, აქ პირველ სართულზე არიან შემოჭრილები!“. „მოვდივარ!“, – სწრაფად დებს ყურმილს იოსელიანი (იხ. ჯაბა იოსელიანის წიგნი „სამი განზომილება“). იოსელიანი დაცვის ბიჭებით, შევარდნაძე 50-კაციანი სპეცჯგუფით (ე.წ. ამერიკელები) მთავრობის სახლისკენ მიდიან. მთავრობის სახლის მისადგომებიდან რუსები და კონფედერატები ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს უხსნიან ჯვარედინი ცეცხლით იხვნება მოედანიც. მანქანებიდან გადმოდიან იოსელიანი, შევარდნაძე ბიჭებთან ერთად. სასწრაფოდ ადგენენ გეგმას ჟიულის გამოსაყვანად. ამ დროს ჟიული შარტავა ჩვეული ღირსებით, კაცობით, სიამაყით, მშვიდად ელოდება მტერსა თუ მოყვარეს თავის ხალხთან ერთად. იქნებ გრძნობს კიდეც, მისი სიცოცხლის წამზომის შეჩერების მოახლოებას. არაფერს იმჩნევს.

სიბნელეში უახლოვდებიან ავღანელები მთავრობის სახლთან მომდგარ იოსელიანსა და შევარდნაძეს. ეუბნებიან, რომ გურამ ჯანიაშვილს და ავღანელების რაზმს გამოყვანილი ჰყავთ უკვე ჟიული და მისი ხალხი. მთავრობის სახლში ახლა მხოლოდ სეპარატისტები არიან. შტაბში ბრუნდებიან ისევ გამოსაყვანად წასულები. შტაბშიც იგივეს ეუბნებიან. იმასაც ამბობენ, ორ ჯგუფად, სხვადასხვა მიმართულებით გაიყვანეს ჯანიაშვილმა და მისმა ბიჭებმა შარტავა და მისი ხალხი. მერე ჟიულის წითელმა ჯვარმა გაუკეთაო კორიდორი. ამბობენ და ირწმუნებიან, მაგრამ არც ჯანიაშვილს აქვს, როგორც ჩანს, სწორი ინფორმაცია, არც ჟიული ჩანს არსად.

საქართველოს, დაფლეთილი ღვიძლის, სოხუმის ამოცლამდე, საათებიღა რჩება.

მალე ჟიული შარტავა და მისი გარემოცვა გავეშებული კონფედერატებისა და სეპარატისტების ჯგროში მტკიცე ნაბიჯებით გაივლიან, ქართული სიამაყით. ჟიულის გამეხებული, შეუდრეკელი სახე, ანთებული თვალები ტელეკადრებმა შემოინახა. აფხაზეთის მთავრობის თავკაცი სარწმუნოებისთვის, საქართველოსთვის სიკვდილის შესაგებებლად აუჩქარებელი, გამართული ნაბიჯებით მიდის, სიკვდილზევე გასამარჯვებლად!

❖ ❖ ❖

ახლახანს, რუსი ბოევიკის აღსარება ვნახე ინტერნეტში. გადმოგცემთ თარგმანს: ჩამოვედი აფხაზეთში 1993 წელს. ვთვლიდი, რომ აფხაზი ერის ბრძოლა ქართველი დამპყრობლების წინააღმდეგ იყო სამართლიანი. სამწუხაროდ, ვცდებოდი.

ვმონაწილეობდი ტამიშის დესანტში, კამანის ბრძოლებში, სოხუმის აღების ოპერაციაში. მქონდა უშუალო ურთიერთობა სოსლანიევთან, ზავან ნანბასთან, ვიტალი სმირთან.

მეომრების ძირითადი ნაწილი იყვნენ რუსები და სომხები. კამანში კაზაკებმა პირდაპირ ეკლესიაში დახვრიტეს მღვდელი, რომელსაც აიძულებდნენ, რომ ეთქვა, ეს აფხაზების მიწაააო. მღვდელი კი ამბობდა, მიწა ყველასიაო. ერთი მღვდელიც ჩამოახრჩვეს, დახვრიტეს რამდენიმე მონაზონი. საშინელი სანახავი იყო, როგორ ყრიდნენ ხალხს ჭაში.

ერთმა აფხაზმა ბოევიკმა დახვრიტა თავისი ყოფილი მასწავლებელი, მოხუცი ქალი, რადგან იგი სკოლაში ქართულს ასწავლიდა.

სანატორიუმის ტერიტორიაზე მხეცურად იქცეოდნენ სომხური ბატალიონის წევრები, მათ ფანჯრებიდან გადმოყარეს ქართველები. გუდაუთაში, რუსების არმიის ბაზაზე, მოყავდათ 13-15 წლის გოგონები. წამებისა და გაუპატიურების მერე ხვრეტდნენ.

სოხუმში, მთავრობის სახლის აღებაში მონაწილეობდნენ ყაბარდოელები, საველე მეთაურის, მეტსახელად „ჯოკერას“ მეთაურობით!

❖ ❖ ❖

– არტილერია დაუნდობლად ბომბავს სოხუმს. იბომბება თეთრი და წითელი ხიდი, ნაღმტყორცნები ჩვეული „ნახაზით“ მუშაობენ. პროფესიონალი რუსის ბატალიონები სეპარატისტებთან ერთად ქალაქის გადაყლაპვას ლამობენ გაუმაძღარ სტომაქში. მე ისევ სადგურში ვარ ბიჭებთან ერთად.

ღამით მეექვსე ბატალიონიც იხსნება, სამხედრო პოლიციაც, აქა-იქ შერჩენილი მცირე ჯგუფებიც. სანატორიუმთან წრიულ თავდაცვას აკეთებს იოსელიანი, მერე შტაბისკენ მიდის. ფეხდაფეხ მიყვებიან ყუმბარმტყორცნების ჭურვების გნიასით. შტაბში აღარავინაა. იოსელიანი გიგა გელაშვილს უთვლის, სანატორიუმის ტერიტორიიდან მოხსნას „მხედრიონი“ და შტაბისკენ წამოვიდნენ. სანატორიუმთან გამაგრებას აზრი მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ზურგში მეომრები იქნებიან გამაგრებაზე, თორემ 50-კაციან სანატორიუმის რკალს დაუვლიან ზურგიდან სეპარატისტები და ალყაში მომწყვდეულ მხედრიონელებს გაჟლეტენ.

ქალაქი ჩაბარებულია. იოსელიანი მხედრიონით მაინც კონტრიერიშს გეგმავს. თუ შეკრებს დაქსაქსულ, სხვადასხვა შენაერთების მცირერიცხოვან ნაწილებს, სოხუმს შუა ქალაქში, ან წითელ ხიდთან გაამაგრებს.

ჯაბა იოსელიანი დაცვის ბიჭებთან ერთად სადგურში შემოვარდა. „ქალაქში ჩვენები აღარ არიან, არც ერთი პოზიციაა ჩვენი, ყველა აღებულია, გამოდით!“ – მეუბნება ბატონი ჯაბა. ზურა მარუაშვილს და გია ბერძენას ვერ ვპოულობ, იქნებ, როგორმე გამოვიყვანოთ, „მერე წამოვალ“, – ვცდილობ წინააღმდეგობის გაწევას. „ბიჭები შევიდნენ გამოსაყვანად, ჩქარა!“, – განკარგულებას მაძლევს. ლამის ძალით მომათრევს. სადგურის ქუჩებში კვასკვასა კოფთებიანი კაცები მხვდებიან თვალში. ადგილობრივი სომხები არიან. ვერ ვხვდები, ეს ჭყეტელა ზედა, ერთნაირი ტანსაცმელი რატომ აცვიათ. რუსების რაზმს ბრძოლით ვხლეჩთ შუაში, ფეხი ყუმბარის ნამსხვრევებისაგან რამდენიმე ადგილას მეგლიჯება. ყველაზე ღრმა ჭრილობას ცხვირსახოცით ვიკრავ მჭიდროდ, მეტი არც საშუალება მაქვს, არც დრო. ერთ-ერთი სახლიდან სომხის კაცი გვეძახის. თქვენი ბიჭები სარდაფში არიან, მოდით და წაიყვანეთო. „ზურა, მამუკა, ბერძენა“, – გახარებული ვფიქრობ.

ანგარიშმიუცემლად ვაპირებ ქუჩის მეორე მხარეზე გადარბენას, საიდანაც მიმანიშნებს სარდაფზე კაცი. „გაჩერდი“, მიყვირიან ბიჭები. შუა ქუჩაშივე ვჩერდები. „შენი შეტყუება უნდა!“ აკონკრეტებენ. ახლა ვიაზრებ, რატომ არიან ერთ ფერებში გამოწყობილი „ჯიგიტები“, როგორც ჩანს, სოხუმის ამღებლები ასე გაარჩევენ თავისიანებს ჩვენიანებისაგან.

თეთრი და წითელი ხიდის მიმდებარედ ცხედრებითაა მოფენილი. იქვე დათო გულუას ვხვდები. დათოს გაოგნებული, გაქვავებული სახე აქვს. არ ვიცი, რას ფიქრობს. ან ფიქრობს კი რამეზე, გარდა სოხუმისა, ეს მამაცი ადამიანი? აგუძერას საავადმყოფოში მივდივარ ვიღაცის მანქანით. ლამის ჰაერში აგვწია ჭურვმა. გაყვანილი ჰყავთ დაჭრილები. მხოლოდ რამდენიმე მეომარი საოცარი სისწრაფით თხრის საფლავებს იქვე მიწვენილი, ჩვენი თანამებრძოლების ცხედრებისთვის. ავტოკალამი არა გაქვთ? ვკითხულობ უმისამართოდ. ერთმა პასტა მომაწოდა ფიცრის პატარა ნატეხებზე დაცხრილული ბიჭების გვარებს ვწერ, მერე სათუთად ვადებ ბიჭებს გულზე ფიცრის ნაჭრებს, პირობას ვაძლევ, მალევე დავიბრუნებთ სოხუმს, მერე ფსოუზე, ბოლო ტყვიასაც გავისვრი.

მეჩვენება, მომლოდინე სახეები აქვთ სამშობლოსათვის დაცემულ მეომრებს, აფორიაქებული თითქოს. უცებ, ნიაღვარივით მასკდება ცრემლები, სათითაოდ ვეხები ბიჭების გაყინულ, ნათელგადაკრულ შუბლებს ცრემლიანი სახით. ვხედავ, სახე უწყნარდებათ, უმშვიდდებათ. ჩემს ცრემლებს გრძნობენ ბიჭები. დედის, დის, შვილის, მეუღლის ცრემლების სანაცვლოდ. მერე სახეს პერანგის საყელოში ვმალავ. ბაძაღუა ჩემს დამბალ სახეს ხედავს. არ ვიცი, იქნებ ახლა ცრემლი არც სირცხვილია, არც სისუსტე და შვება. ახლა ცრემლი მხოლოდ გულის გაგლეჯამდე გაუსაძლისი ტკივილია, სოხუმია მხოლოდ, ბიჭებია მხოლოდ...

□ყუყ დოდო გუგეშაშვილის განაჩენის წინა დღით, გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, ალექსანდრე შუშანაშვილის მასალები აფხაზეთის ომზე. გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან:

„როცა მოწინააღმდეგე სადგურთანაა მოსული, გავიხედე და თმაგაწეწილი, გამურული, გასისხლიანებული ქალი მორბის. ხელში ავტომატი უჭირავს, – სად გარბიხართ, თქვე ლაჩრებო, ვინც ვაჟკაცი ხართ, მომყევითო და სადგურისაკენ ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა. ის დოდო გუგეშაშვილი ყოფილა. ახლოს რომ მოვიდა, ვიცანი!“.

მედიცინა

სასუნთქი გზების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

ანგინა

ანგინა შეიძლება ერთი დღე-ღამის განმავლობაში დავამარცხოთ, თუ დავღეჭავთ ნაძვის ახლადდადენილ ფისს.

გთავაზობთ ანგინის მკურნალობის რამდენიმე მეთოდს.

❖ ❖ ❖

ერთ ჭიქა ცხელ წყალში გახსენით ერთი ჩაის კოვზი მარილი და დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ.

❖ ❖ ❖

200 გრამ წყალში გახსენით ერთი სუფრის კოვზი თაფლი. ადუღეთ 5 წუთი. გამოივლეთ ყელში, თან ყლუპ-ყლუპად სვით.

❖ ❖ ❖

ძილის წინ დაღეჭეთ პატარა დინდგელი. მთელი ღამის განმავლობაში დაიტოვეთ კბილებში ჩარჩენილი.

❖ ❖ ❖

აიღეთ რამდენიმე ლეღვის ჩირი, დაასხით აუდუღარი რძე ისე, რომ ფარავდეს ჩირს. დადგით ცეცხლზე, რომ აიჭრება, გადმოდგით, ჩირებიც მიირთვით და რძეც.

❖ ❖ ❖

ვაშლის ძმარი და თაფლი გახსენით თბილ, ანადუღარ წყალში და ხშირად გამოივლეთ ყელში.

❖ ❖ ❖

ზეითუნის ზეთი გააცხელეთ (არ აადუღოთ), გახსენით მასში დაქუცმაცებული დინდგელი. ხშირად გამოივლეთ ყელში და პირის ღრუში.

❖ ❖ ❖

ერთ ჭიქა თბილ წყალში გახსენით ერთი ჩაის კოვზი სოდა და ერთი წვეთი იოდი; ივლეთ ყელში რაც შეიძლება ხშირად.

❖ ❖ ❖

ქრონიკული ფარინგიტის (მშრალი ხველა და ყელის სიმშრალე) დროს ასეთი საცხი დაამზადეთ: დაქუცმაცებული დინდგელი ჩაყარეთ ცივ წყალში, მინარევები ზედაპირზე დარჩება, დინდგელი კი ფსკერზე დაილექება, ეს ნალექი გააშრეთ და 96%-იანი სპირტი დაამატეთ (30 გრამ დინდგელზე 100 გრამი სპირტი). ერთი კვირა გააჩერეთ და პერიოდულად ანჯღრიეთ. შემდეგ გაფილტრეთ. ერთ წილ ნაყენზე შეურიეთ ორი წილი გლიცერინი. წაისვით ყელში 10-15 დღის განმავლობაში.

❖ ❖ ❖

ალოეს წვენი გახსენით თბილ, ანადუღარ წყალში და დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ ყელში, ცხვირშიც ჩაიწვეთეთ.

❖ ❖ ❖

გახეხილ ნიორს დაუმატეთ იმდენივე თაფლი და მიიღეთ თითო ჩაის კოვზი დღეში 3-4-ჯერ.

❖ ❖ ❖

გამოიყენეთ შემდეგი მცენარეების ნაყენები ყელში სავლებად: სალბი; გვირილა; კრაზანა; ევკალიპტი; კაკლის ფოთლები; შეგიძლიათ ინჰალაციებიც გაიკეთოთ.

❖ ❖ ❖

100 გრამი ფიჭვის კვირტებს დაასხით 2,5 ლიტრი წყალი, ხარშეთ მანამ, სანამ არ დადგება 0,5 ლიტრი. ცხელი ნახარში გადაწურეთ და დაუმატეთ 250 გრამი კრისტალური შაქარი, ხოლო გაციების შემდეგ – 250 გრამი თაფლი, დაუმატეთ აგრეთვე 10 გრამი დარიჩინი, 5 გრამი მიხაკი და 1 მუსკატის კაკალი. მიირთვით ფინჯანით 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

ხველა

6 გრამ ტუხტის ფესვებს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი. ჭურჭელი ჩავდგათ მდუღარე წყლიან ჯამში და გავაცხელოთ 30-40 წუთის განმავლობაში. გავაციოთ, გავწუროთ და მოცულობა შევავსოთ 200 გრამამდე. მივიღოთ 1/3-1/2 ცხელ-ცხელი 3-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ.

ეს მეთოდი კარგია მათთვის, ვინც ნახველს ვერ იღებს.

❖ ❖ ❖

მწეველებში ხველების დროს ბალბის რამდენიმე ფესურა ვადუღოთ 15-15 წუთის განმავლობაში, 0,5 ლიტრ ახალ რძეში. ნაყენი დავლიოთ 1 ყავის ჭიქის ოდენობით, რამდენჯერმე დღეში.

❖ ❖ ❖

– ძლიერი ხველის დროს ავიღოთ 4 ცალი კაკლის წენგო, დავუმატოთ 1 სუფრის კოვზი თაფლი, ყოველივე ეს ვადუღოთ 0,5 ლიტრ წყალში, გავწუროთ ნაყენი და დავლიოთ 1 სუფრის კოვზი დღეში 3-ჯერ.

ერლომ ახვლედიანი 90 წლის გახდებოდა



მწერალი და სცენარისტი ერლომ ახვლედიანი 90 წლის გახდებოდა. მისი ცხოვრება მთლიანად ქართულ ლიტერატურასა და კინემატოგრაფთან იყო დაკავშირებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, უმაღლესი სასცენარო კურსები მოსკოვში გაიარა.

სხვადასხვა წლებში იუბილარი შემოქმედი იყო ინსპექტორი კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში, საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტის მხატვრული ტელეფილმების უფროსი რედაქტორი, სტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებული მწერალთა შემოქმედებითი გაერთიანების წევრი, სატელევიზიო ფილმების სტუდიის უფროსი რედაქტორი, თეატრალური უნივერსიტეტის სასცენო ჯგუფის პედაგოგ-ხელმძღვანელი.

ერლომ ახვლედიანის ნაწარმოებებში გაცოცხლებულია იმ პერიოდის ადამიანები, რომლებიც, ამავე დროს, ზოგადადამიანური სახეები არიან.

„უაღრესად ლაკონიური აღწერებისა და წიაღსვლებისგან თავისუფალი, იგავურად სიტყვაძუნწი, დიდაქტიკური და „კვიმატი“, სიკეთისა და სიავის, თეთრისა და შავის, ნათლისა და ბნელის მუდმივი დაპირისპირებით“ – ასე ახასიათებს მის შემოქმედებას მისი თანამედროვე გამორჩეული მწერალი და სცენარისტი ზაირა არსენიშვილი.

ერლომ ახვლედიანის ნაწარმოებები თარგმნილია და გამოქვეყნებულია არაერთ უცხო ენაზე – რუსულ, სომხურ, ჩეხურ, გერმანულ, უნგრულ და არაბულ ენებზე. იგი 15 ფილმის სცენარის ავტორი და თანაავტორია: „აპრილი“, „ფიროსმანი“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ამაღლება“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „არასერიოზული კაცი“, „ცხელი ზაფხულის სამი დღე“, „ძნელი დასაწყისი“, „გზა შინისაკენ“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“...

მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია „საბა“ საუკეთესო რომანისთვის „კოღო ქალაქში“.

იუბილარი შემოქმედი 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ბლინკენი: „აშშ-ის მიერ უკრაინის მხარდაჭერა უცვლელია!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბლიკენმა განაცხადა, რომ ვაშინგტონის მიერ უკრაინის მხარდაჭერა არ შეიცვლება. ბლინკენის ეს განცხადება იმ სკეპტიკური მოსაზრებების ფონზე გაისმა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ისრაელ-ჰამასის ომის დაწყების შემდეგ აშშ-ს უკრაინისათვის არა ეცლება. ბლინკენმა ხაზი გაუსვა, რომ მსგავს მოსაზრებებს არავითარი საფუძველი არა აქვს და აშშ-ის მიერ უკრაინის მხარდაჭერაც გაგრძელდება.

გენერალი ოსტინი აშშ-ის ახალი პრეზიდენტი?



დღეისათვის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილება: ბაიდენი და ტრამპი. ამ ეტაპზე ბაიდენის რეიტინგი ტრამპისას ბევრად აღემატება. ვითარება შეიძლება შეიცვალოს, თუ პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის თავდაცვის მინისტრი ოსტინი.

– ოსტინის რეიტინგი ბაიდენისა და ტრამპის რეიტინგებზე მეტია. ამიტომ, თუ მან პრეზიდენტობაზე კენჭი იყარა, უდავოდ ფავორიტი იქნება, – აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

თავად ოსტინს ჯერჯერობით თავის საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ არაფერი განუცხადებია.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5523; არტილერია – 7876; თვითმფრინავები – 323; ვერტმფრენები – 324; განადგურებულია – 326.840 ოკუპანტი.

რუსეთში ძალოვნების დაფინანსება იზრდება

დიქტატორმა პუტინმა ხელი მოაწერა დუმის მიერ მიღებულ დოკუმენტს არმიის დაფინანსების ორჯერ გაზრდის შესახებ. ამას გარდა, 3-ჯერ გაიზარდა ფსბ-ს და პოლიციის დაფინანსებაც.

– რუსეთში აძლიერებენ ძალოვან სტრუქტურებს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ღვთისმსახურმა სკოლის მოსწავლე გოგონა შეაცდინა და მასთან ერთად გაიქცა

აშშ-ში ღვთისმსახურმა იქორწინა გოგონაზე, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროს შეაცდინა, როდესაც ის სკოლის მოსწავლე იყო.

30 წლის პასტორმა ალექს ქროუმ 18 წლის გოგონაზე იქორწინა. გოგონა ქალაქ მობილის კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა, რომელშიც ღვთისმსახური თეოლოგიას ასწავლიდა მოსწავლეებს. ქროუს მოსწავლე გოგონასთან რომანის შესახებ ზაფხულში გახდა ცნობილი, მას შემდეგ, როდესაც სამართალდამცავი ორგანოების ხელთ აღმოჩნდა ღვთისმსახურის მიერ წმინდა ვალენტინის დღეს გოგონასთვის მიწერილი სასიყვარულო წერილი.

ამ ყოველივეს გამჟღავნების შემდეგ წყვილი იტალიაში გაიქცა და სამშობლოში მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში დაბრუნდა. ამ დროის განმავლობაში კი ქროუ ღვთისმსახურობიდან მოკვეთეს. როგორც არქიეპისკოპოსმა თომას როდიმ განაცხადა, პასტორის საქციელი სრულიად შეუსაბამოა და იმედი გამოთქვა, რომ ვატიკანი ქროუს ღვთისმსახურებას სრულიად აუკრძალავს.

მობილის ოლქის პოლიციის განყოფილებაში დარწმუნებულნი არიან, რომ ღვთისმსახურმა თავის მომავალ მეუღლეზე სექსუალურად იძალადა, როდესაც ის ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. ამის მიუხედავად, მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, ვინაიდან გოგონა თავად გამოცხადდა პროკურატურაში და ყველა მისთვის დასასმელ შეკითხვებზე პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577 -52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების განკურნვა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

კალეიდოსკოპი

უზარმაზარი ვირთხა ფოტოკამერამ დააფიქსირა

მელბურნის უნივერსიტეტის ავსტრალიელი ზოოლოგების გუნდმა ისტორიაში პირველად უიშვიათესი უზარმაზარი ვირთხის ფოტოკამერაზე აღბეჭდვა მოახერხა. აღნიშნულ ინფორმაციას მელბურნის უნივერსიტეტი საკუთარ ვებ-გვერდზე აქვეყნებს.

ვირთხები ვანგუნუები სოლომინის კუნძულების ჯუნგლებში ბინადრობენ. ეს ცხოველები დიდი ხნის განმავლობაში შეუსწავლელები რჩებოდნენ. მათ შესახებ მეცნიერებს მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლებისგან სმენოდათ, რომლებიც ყვებოდნენ უზარმაზარი ვირთხების შესახებ, რომლებიც ხეებზე დაცოცავდნენ და ქოქოსის კაკალს კბილებით ტეხდნენ.

2017 წელს ამერიკელმა მეცნიერებმა ამ სახეობის ცხოველის კანის ნაწილის ნიმუშის მოპოვება მოახერხეს და მისმა დნმ-ის ანალიზმა აჩვენა, რომ ის მანამდე უცნობ ვირთხების სახეობას წარმოადგენდა. ზოოლოგებმა ივარაუდეს, რომ მათი წონა საშუალოდ დაახლოებით ერთ კილოგრამს აღწევდა, ხოლო სიგრძე 45 სანტიმეტრს, რაც ჩვეულებრივი ვირთხის ზომას და წონას სამ-ოთხჯერ აღემატება. თუმცა მაშინ თავად ამ მღრღნელების ნახვა ვერ მოხერხდა, ისევე, როგორც მათთვის ფოტოსურათის გადაღება. სამაგიეროდ, მათ სახელი მათი საბინადრო კუნძულის ვანგინუს პატივსაცემად დაარქვეს.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა კი გადაწყვიტეს, პრობლემას მასშტაბურად მისდგომოდნენ და ჯუნგლებში ფოტოხაფანგების ქსელი დაამონტაჟეს. მათ ვანგუნუს 95-მდე გამოსახულება მოიპოვეს, მათზე ოთხი ცხოველია ასახული.

ბიზონი თავს დაესხა ტურისტებს, რომლებიც ვიდეოს უღებდნენ

აშშ-ში ტურისტების ჯგუფი კინაღამ გადათელა ბიზონმა, რომელსაც ისინი ვიდეოს და ფოტოსურათებს უღებდნენ.

აღნიშნული უჩვეულო ინციდენტი იელოუსტოუნის ეროვნულ პარკში მოხდა და ვიდეოზე იქნა გადაღებული. აღნიშნული შემთხვევა ფოტოგრაფმა ლოგან სმიტმა გადაიღო. ვიდეოზე ჩანს, რომ 12 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი უზარმაზარი ბიზონის – ბუფალოს წინ მისკენ ზურგით მდგომი პოზირებს. ამ დროს ცხოველი გზის პირას იდგა და უზრუნველად ბალახობდა, მაგრამ რამდენიმე წამში ის მოულოდნელად ტურისტებისკენ გაქანდა.

საბედნიეროდ, ტურისტებმა გაცლა და თავის შველა მოასწრეს, ბიზონი კი მიტრიალდა და ბალახის ძოვა გააგრძელა, ვიდეოს კადრს მიღმა კი მისი ავტორის ხმა ისმის: „აბა რას მოელოდნენ?“

ვიდეორგოლი იელოსტოუნის ეროვნული პარკის ოფიციალურ გვერდზე იქნა გამოქვეყნებული და ის საკმაოდ პოპულარული გახდა.

კინოთეატრში ჩაძინებულ და ჩაკეტილ ქალს ღამით გაეღვიძა და საშველად მაშველებს დაუკავშირდა

იტალიაში მაშველებმა კინოთეატრში ჩაძინებული და ჩაკეტილი ქალი გაათავისუფლეს.

აღნიშნული ინციდენტი პარასკევს, 24 ნოემბერს ქალაქ გენუის გარეუბან კიავარიში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 68 წლის ქალმა გადაწყვიტა, კინოთეატრში ანტონიო ალბანეზეს ფილმი „ასი კვირა“ ენახა. თუმცა ფილმის ყურების დროს ქალს ჩაეძინა. მისდა სამწუხაროდ, ეს იმ დღეს ბოლო სეანსი იყო, ხოლო კინოთეატრის მფლობელმა ჩაძინებული მაყურებელი ვერ შენიშნა და დარბაზი ჩაკეტა.

ქალს რამდენიმე საათის შემდეგ სრულიად ცარიელ კინოთეატრში ღამით გაეღვიძა. როდესაც ის მიხვდა, რომ იქიდან ვერ გამოვიდოდა, სამაშველო სამსახურს დაურეკა. მათ კი, თავის მხრივ, კინოთეატრის მფლობელს მიმართეს და მომხდარის თაობაზე აცნობეს. მამაკაცი თავად მივიდა კინოთეატრში და თავადვე გააღო დარბაზი. მან ასევე პირადად მოუბოდიშა ქალს. მისი თქმით, ის წასვლის წინ ყოველთვის პირადად ამოწმებდა შენობას და ტუალეტებს.

16 წლის გოგონამ გონებადაკარგული მამა გადაარჩინა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა გოგონამ მამა, რომელმაც მოულოდნელად გონება დაკარგა, დაღუპვას გადაარჩინა.

აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოს მცხოვრები, ამჟამად 22 წლის ჯინი ლონგი 16 წლის იყო, როდესაც ზემოთ აღნიშნული ინციდენტი მოხდა. ის სახლში ღონისძიებიდან დაბრუნდა, სადაც მამა ენდისთან ერთად იმყოფებოდა. მოულოდნელად მამამისმა გონება დაკარგა. ჯენის თქმით, ამის გამო ის პანიკამ შეიპყრო. თუმცა, ამის მიუხედავად, გოგონამ მაინც მოახერხა თავის ხელში აყვანა და სასწრაფო დახმარებაში დარეკა.

– ვინაიდან ვიცოდი, რომ მამას გულზე ჰქონდა პრობლემები და, რომ რაღაც დაემართა. დარწმუნებული ვიყავი, რომ გული გაუჩერდა, – იხსენებს ჯინი.

ექსტრემალური სამსახურის დისპეტჩერმა გოგონას უთხრა, რომ მას ადგილზე ექიმების მისვლამდე მამისთვის აუცილებლად უნდა გაეკეთებინა გულის და ფილტვების ასამუშავებელი რეანიმაცია. გოგონა 20 წუთის მანძილზე მეზობელთან ერთად უწევდა პირველად დახმარებას ენდის. შემდეგ კი ის სასწრაფო დახმარებამ საავადმყოფოში გადაიყვანა. იქ მამაკაცი ხელოვნურ კომურ მდგომარეობაში გადაიყვანეს, რომელშიც სამი კვირა გაატარა. ენდის ჩაუდგეს კარდიოვერტერ-დეფიბრილიატორი და ტრახეოტომია გაუკეთეს. ამის გამო ის გარკვეული დროის განმავლობაში ლაპარაკს ვერ ახერხებდა. მოგვიანებით მამაკაცს აორტის ანევრიზმა დაუდგინეს და სტენტირება ჩაუტარდა.

აღსანიშნავია, როდესაც მამაკაცმა შეიტყო, რომ ის მისმა ქალიშვილმა გადაარჩინა, ძალიან გაკვირვებული დარჩა, შემდეგ კი ამ ყველაფრისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

შედეგები

27 ნოემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

ფულემი-ვულვზი 3:2

სატუნინიო ცხრილი:

1.არსენალი	13	9	3	1	27-10	30
2.სიტი	13	9	2	2	33-13	29
3.ლივერპული	13	8	4	1	28-11	28
4.ასტონ ვილა	13	9	1	3	31-18	28
5.ტოტენჰემი	13	8	2	3	25-17	26
6.მანჩესტერი	13	8	0	5	16-16	24
7.ნიუკასლი	13	7	2	4	31-14	23
8.ბრაიტონი	13	6	4	3	28-23	22
9.ვესტ ჰემი	13	6	2	5	23-23	20
10.ჩელსი	13	4	4	5	22-20	16
11.ბრენტფორდი	13	4	4	5	19-18	16
12.ვულვზი	13	4	3	6	18-23	15
13.კრ.პალასი	13	4	3	6	13-18	15
14.ფულემი	13	4	3	6	13-22	15
15.ნოტინგემი	13	3	4	6	16-21	13
16.ბორნმუთი	13	3	3	7	14-28	12
17.ლუთონი	13	2	3	8	12-23	9
18.შეფილდი	13	1	2	10	11-34	5
19.ევერტონი	13	4	2	7	14-20	4
20.ბარნლი	13	1	1	11	10-32	4

შენიშვნა: ევერტონს დაკლებული აქვს 10 ქულა

ესპანეთი. ჩემპიონატი

ხირონა-ბილბაო 1:1

სატუნინიო ცხრილი:

1.რეალი	14	11	2	1	31-9	35
2.ხირონა	14	11	2	1	32-17	35
3.ატლეტიკო	13	10	1	2	30-12	31
4.ბარსელონა	14	9	4	1	27-14	31
5.ბილბაო	14	7	4	3	26-18	25
6.სოსიედადი	14	7	4	3	25-17	25
7.ბეტისი	14	6	6	2	18-16	24
8.ხეტაფე	14	4	7	3	17-18	19
9.რაიო	14	4	7	3	16-18	19
10.ვალენსია	14	5	4	5	16-18	19
11.ლას პალმასი	14	5	3	6	11-13	18
12.ვილიარეალი	14	4	3	7	21-25	15
13.ალავესი	14	4	3	7	14-19	15
14.ოსასუნა	14	4	2	8	16-24	14
15.სევილია	13	2	6	5	19-19	12
16.კადისი	13	2	4	7	10-20	10
17.მალიორკა	13	1	6	6	12-19	9
18.სელტა	14	1	5	8	14-24	8
19.გრანადა	14	1	4	9	19-33	7
20.ალმერია	14	0	3	11	16-37	3

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხიხონი-ელდენსე 2:0

იტალია. სერია ა

ვერონა-ლეჩე 2:2
ბოლონია-ტორინო 2:0

სატუნინიო ცხრილი:

1.ინტერი	13	10	2	1	30-7	32
2.იუვენტუსი	13	9	3	1	20-8	30
3.მილანი	13	8	2	3	21-14	26
4.ნაპოლი	13	7	3	3	26-14	24
5.რომა	13	6	3	4	25-15	21
6.ბოლონია	13	5	6	2	15-10	21
7.ფიორენტინა	13	6	2	5	20-17	20
8.ატალანტა	13	6	2	5	21-13	20
9.მონცა	13	4	6	3	14-12	18
10.ფროზინონე	13	5	3	5	19-21	18
11.ლაციო	13	5	2	6	14-15	17
12.ტორინო	13	4	4	5	10-16	16
13.ლეჩე	13	3	6	4	15-18	15
14.სასუოლო	13	4	3	6	20-24	15
15.ჯენოა	13	4	2	7	14-18	14
16.უდინეზე	13	1	8	4	9-18	11
17.კალიარი	13	2	4	7	13-25	10
18.ემპოლი	13	3	1	9	8-25	10
19.ვერონა	13	2	3	8	9-18	9
20.სალერნიტანა	13	1	5	7	10-25	8

საფრანგეთი. ლიგა 2

ანჟე-კაენი 3:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბაშაქშეჰირი-პენდიკი 4:1
სივასი-ტრაბზონი 3:3

დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-მიდტიულანდი 1:4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელომ პირველი წრე დახურა

ხარები-ლელო 14:22

თბილისის ლელომ რუსთავის ხარებს 22:14 სძლია და დიდი 10-ის მიმდინარე სეზონის პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა.

რეგულარული ჩემპიონატის შუაწელს დიდ დიღმელებს 8 მოგება აქვს და 34 ქულით სატურნირო ცხრილს ლიდერობენ. ქვეყნის ჩემპიონ ხარებს კი, პირველი წრე აშკარად ჩაუვარდა. მათ 4 თამაში მოიგეს, 18 ქულით მე-8 ადგილზე არიან და ფლეი ოფის ზონას 5 ქულა აშორებს.

რუსთავში სანახაობრივი თამაში გაჩაღდა. მე-5 წუთზე გიორგი მარგალიტაძემ საკუთარი მოედნიდან იდეალური დარტყმა განახორციელა და ლელოს 5-მეტრიანში აუტის მოწოდების უფლება მოუპოვა. მოლის შემდეგ თორნიკე კახოიძემ კარგად იარა, რაქიდან მარგალიტაძემ თავად შეუტია და ლელოთი ანგარიში გახსნა. ვეტერანმა ფულბეკმა ირაკლი ყიასაშვილმა გარდასახა, მაგრამ მე-14 წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა ვერ გაიტანა.

26-ე წუთზე ბექა ყორიაულმა მაღალ სისწრაფეში შეუტია და რამდენიმე მცველთან ერთად 10 მეტრი იარა. ამას რამდენიმე ფაზა მოყვა და თავისივე დაწყებული შეტევა ყორიაულმა ლელოთი დაასრულა. გარდასახვა არაზუსტი იყო. ხარებმა სახიფათო შეტევით უპასუხა, რომელსაც დავით ლაზვიაშვილი სინბინით შეეწირა. მასპინძლებმა ბურთი აუტში გადაიტანეს, იქიდან მოლი ააგორეს და გიორგი გოგუაძემ ჩამორჩენა 5, ხოლო გიორგი პეტრიაშვილმა კიდევ 2 ქულით შეამცირა – 7:12.

მეორე ტაიმის დასაწყისში ხარებმა 3 ქულის აღებას ნაცადი ხერხით ლელოზე თამაში არჩია, მაგრამ სტუმრებმა ამჯერად თავი დაიცვეს. მერე ფეხით გადაკიდებული ბურთი მათთვის სასურველი ტრაექტორიით ახტა და, ბურთი რომ დაემორჩილებინა, პეტრიაშვილი ლელოს აუცილებლად გაიტანდა. მასპინძლები ინიციატივას ფლობდნენ და კიდევ რამდენიმე სალელოვე შანსი ჰქონდათ, მაგრამ დასკვნით ფაზებში შეცდომებს უშვებდნენ.

55-ე წუთზე კარგი ხელდახელ შეტევა ლელომაც განახორციელა, მაგრამ ბექა მამუკაშვილს ფეხით თამაშისას სიზუსტე დააკლდა. სამ წუთში მარგალიტაძემ გაჭრა ხაზი, იერიში თორნიკე კახოიძემ და სანდრო ქოიავამ გააგრძელეს, რამდენიმე ფაზის შემდეგ ბურთი ფრთაზე ჩათამაშდა და ლელო თორნიკე ღანიაშვილმა გაიტანა. ვაჟა მიქაძემ ჯარიმით საბოლოო შედეგი დააფიქსირა და ხარები უქულოდ დატოვა – 14:22.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე თორნიკე კახოიძე გახდა.

აკადემია-აია 5:78

ქუთაისის აიამ თბილისის აკადემიას 12 ლელო გაუტანა, 78:5 გაიმარჯვა და 31 ქულით წრე მეორე ადგილზე დაასრულა. „მხატვრები“ კვლავაც უქულოდ არიან და მეორე წრეს მე-9 ადგილოსან ოზურგეთის არწივებთან 6 ქულიანი ჩამორჩენით იწყებენ.

რაც შეეხება შეხვედრას, პირველ ტაიმში ქუთაისელებმა 5 უპასუხო ლელო გაიტანეს. ანგარიში გიორგი ფრუიძემ გახსნა. ტაიმის შუაში თავი ჯიუტა მბიაუ მბატირერენგამ და ოთარ მეტრეველმა გამოიჩინეს. ამას საჯარიმო ლელო მოყვა, 37-ე წუთზე კი 5 ქულა ნოდარ დოლიძემ მიითვალა. ფრუიძემ და ნიკა ღლონტმა თითო გარდასახვა შეასრულეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში, პირველის მსგავსად, ლელო ფრუიძემ მიითვალა, რასაც თემურ კოხოძის, ამირან შვანგირაძის და ლუკა შენგელიას ლელოები მოყვა. აკადემიამ პრესტიჟის ლელო მე-60 წუთზე დადო (შოთა ნაჭყებია), მაგრამ თამაშის სცენარი არ შეცვლილა და კოხოძემ, ილია გაბისონიამ და ნიკა ღლონტმა სხვაობა კიდევ უფრო გაზარდეს. გუჯა მახარეიშვილმა სამივე გარდასახვა გამოიყენა – 78:5 აიას სასარგებლოდ.

არწივები-ბათუმი 21:33

ბათუმმა დიდი 10-ის პირველი წრის დასკვნით მატჩში ოზურგეთის არწივებს 33:21 მოუგო, თუმცა ბონუსქულა გაანიავა.

ფოთის „პარკი არენაზე“ მაყურებელმა ორი განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველში ბათუმი სრულად დომინირებდა და 5 ლელო გაიტანა, ლამის ერთი ამდენის გატანის შანსი კი, გაანიავა. არწივებმა ბოლომდე იბრძოლა და პირველი ტაიმის მიწურულს ერთი, მეორეში კი, ორი ლელო გაქვითა და სტუმრებს ბონუსი არ გაატანა.

თამაში ბათუმის შეტევებით დაიწყო. ისინი კარგად ათამაშებდნენ ბურთს, რითაც მეტოქის დაცვას ღლიდნენ და 22 წუთში 4 ლელო გაიტანეს. ჯერ ბექა ურჯუკაშვილმა შეირგო ვანო ფუტკარაძის ოფლოუდი, მერე ინიციატივა ლაშა ფოფხაძემ აიღო თავის თავზე და 50-მეტრიანი რეიდი 5 ქულით დაასრულა, რიცხობრივ უპირატესობაში (ყვითელი ბარათი ფრედერიქსმა მიიღო) კი თავი კოკი თხილაიშვილმა და კობა ბუჯიაშვილმა გამოიჩინეს. ურჯუკაშვილმა ოთხივე გარდასახა.

თამაში რომ განახლდა კაცნაკლული უკვე სტუმრები დარჩნენ და ლუკა კოხიამ ერთი ლელო გაქვითა, მაგრამ იქვე ურჯუკაშვილმა უპასუხა – 7:33.

მეორე ტაიმში ინიციატივა მასპინძლების მხარეს გადავიდა, რასაც ხელი მეტოქის უდისციპლინობამ შეუწყო. 50-ე და 52-ე წუთებზე ჯემალ შათირიშვილმა და ანზორ სიჭინავამ ყვითელი ბარათები მიიღეს და 13 კაცის ამარა დარჩენილ მეტოქეს კოტე გაზაშვილმა ლელო გაუტანა, 63-ე წუთზე კი, კოხიამ დუბლი მიითვალა. ბახვა კობახიძემ ორივე გარდასახა – 21:33. დარჩენილ დროში ანგარიში აღარ შეცვლილა და ბათუმი 29 ქულით მესამე ადგილზე აღზევდა, არწივები კი, 6 ქულით მე-9 პოზიციაზე რჩება.

ხვამლი-ყოჩები 21:10

თბილისის ხვამლმა დაძაბულ ბრძოლაში ბოლნისის ყოჩებს 21:10 აჯობა და პირველი წრის მიწურულს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

მუხიანელებს 23 ქულა მოუგროვდათ და მე-6 ადგილზე არიან. ყოჩები ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ ლიდერის პოზიციებს თმობს. ბოლნისელები 27 ქულით მე-4 პოზიციამდე დაეშვნენ.

თამაში უხეში გამოდგა და მსაჯს 7-ჯერ მოუწია ყვითელი ბარათის გამოყენება. პირველად მე-18 წუთზე გიორგი ჯობავა გასინბინდა და ხვამლი კაცნაკლული დარჩა, რითაც ყოჩებმა ისარგებლა, 5-მეტრიანი დერეფნიდან მძლავრი მოლი ააგორა და ჯაბა ბრეგვაძემ ანგარიში გახსნა, ლაშა მალაღურაძემ კი გარდასახა.

24-ე წუთზე ყვითელი უკვე ჟორა მღებრიშვილმა მიიღო და ნიკა ცინცაძემ ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირა. 27-ე წუთზე მოედანზე ჩხუბი ატყდა და საბა აბულაშვილმა ამჯერად გიორგი მელაძე და საბა კურტანიძე გაასინბინა. ხვამლს ჯობავა რომ დაუბრუნდა, რიცხობრივი უპირატესობა მიიღო, 32-ე წუთზე მაღალ ტემპში შეუტია და თორნიკე აქუბარდიამ მარჯვენა ალამთან ლელო გაიტანა.

ტაიმის ბოლოს ხვამლმა მონაგარი კიდევ 10 ქულით გაზარდა – ჯერ ნიკა ცინცაძემ გაიტანა ჯარიმა, მერე ყოჩები საჯარიმო ლელოთი დაისაჯა და ამირან მიქაძემ ყვითელი ბარათიც მიიღო – 18:7.

მეორე ტაიმის დასაწყისში მალაღურაძემ და ცინცაძემ ჯარიმები გაცვალეს და დარჩენილი დრო გუნდებმა უქულოდ გალიეს. ყოჩებს ნუგეშის ქულის აღების კარგი შანსი ჰქონდა. ხვამლმა 71-ე წუთზე სინბინით ირაკლი ბებია, ხოლო 79-ზე გიორგი კვაბზირიძე დაკარგა, მაგრამ სტუმრებმა ამით ვერ ისარგებლეს.

ყაზბეგი-ახესი 14:22

ქუთაისის არესმა უშუალო კონკურენტი სტეფანწმინდის ყაზბეგი 22:14 დაამარცხა და პირველი წრე საფლეიოფო ექვსეულში დაასრულა.

თამაში თბილისში, „ავჭალაზე“ გაიმართა და არესმა მიმდინარე სეზონში სტუმრად მესამე გამარჯვება მოიპოვა. ჯამში მას 5 მოგება და 23 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა. ყაზბეგს 20 ქულა დარჩა, კონკურენტებს 3 ქულით ჩამორჩა და მე-7 ადგილზე დაქვეითდა.

მატჩის დებიუტში სტუმრებმა შეცდომები დაუშვეს, ყაზბეგი ინიციატივას დაეუფლა და ლაშა გედეხაურის ფეხით გადაკიდებული ბურთი მარცხენა ფრთაზე იაგო გელაძემ დაამიწა. დავით მოძღვრიშვილმა გარდასახვა ვერა, თუმცა შემდეგ ეპიზოდებში ორი შორეული ჯარიმა გაიტანა და მასპინძლები 11:0 დააწინაურა.

ტაიმის ბოლოს არესი გააქტიურდა. სტეფანწმინდელები გარკვეული დროით თავს კარგად იცავდნენ, მაგრამ 34-ე წუთზე საკუთარ ლელოსთან რაქიდან ბურთი გამოუვარდათ, სიტუაციაში ყველაზე სწრაფად ზურა ოდიკაძე გაერკვა და საპასუხო ლელო გაიტანა. გარდასახვა ძელს მოხვდა. სამაგიეროდ, 3 წუთში შეცვლაზე შესულმა გიორგი თევდორაძემ ჯარიმა გაიტანა და სხვაობა 3 ქულამდე დაიყვანა – 11:8.

მეორე ტაიმი სტუმრების აქტიურობით დაიწყო. ყაზბეგი 18 წუთის განმავლობაში ახერხებდა მეტოქის შეჩერებას. მერე არესმა არცთუ კარგი დერეფნის შემდეგ მორკინალებით შეუტია და ზურა ოდიკაძემ თავისი მეორე ლელო ძელებსშუა გაიტანა, გიორგი თევდორაძემ კი გარდასახა.

დავით მოძღვრიშვილმა ჯარიმით ჩამორჩენა 1 ქულამდე დაიყვანა, თუმცა იქვე არესმა მძლავრი მოლით და გოგა კობახიძის ლელოთი უპასუხა, რასაც თევდორაძის გარდასახვა მოყვა – 22:14.

საკუთნიო ცხრილი:

1.ლელო	9	8	0	1	281-153	34
2.აია	9	6	0	3	330-162	31
3.ბათუმი	9	6	0	3	245-129	29
4.ყოჩები	9	6	0	3	217-149	27
5.არესი	9	5	0	4	251-214	23
6.ხვამლი	9	5	0	4	270-163	23
7.ყაზბეგი	9	4	0	5	240-193	20
8.ხარები	9	4	0	5	209-174	18
9.არწივები	9	1	0	8	230-331	6
10.აკადემია	9	0	0	9	50-647	0

თომას ბახი: „მსოფლიოს გაერთიანება მშვიდობიან პაექრობაში შეგვიძლია“

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მხარი დაუჭირა „სპორტის და ოლიმპიური იდეალების მეშვეობით მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშემწყობ რეზოლუციას“, რომელიც ცხრა პუნქტისგან შედგება. მათ შორის უმთავრესია ოლიმპიურ თამაშებამდე შვიდი დღით ადრე და პარალიმპური თამაშების დასრულებიდან შვიდი დღის შემდეგ ოლიმპიური ზავის დაცვისკენ მოწოდება.

აღსანიშნავია, რომ რეზოლუციის მხარდაჭერისგან თავი შეიკავეს რუსეთმა და სირიამ, ასამბლეის წევრთა უმრავლესობამ კი მის მიღებას მხარი დაუჭირა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თომას ბახის განცხადებით, 2024 წლის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ოლიმპიურ ზავზე მიღებული რეზოლუცია მნიშვნელოვანი სამშვიდობო დოკუმენტია. მას კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ და ათლეტების შესაძლო დისკრიმინაციაზე ალაპარაკდნენ.

თომას ბახი:

– მოხარული და მადლობელი ვარ, რომ ოლიმპიური ზავის რეზოლუციას ასეთი მხარდაჭერა ჰქონდა – მხოლოდ ორმა ქვეყანამ შეიკავა თავი. ამასთან დაკავშირებით განმარტებები მოვისმინეთ. ეს დოკუმენტი არავითარ შემთხვევაში არ არის სპორტსმენთა დისკრიმინაცია, არამედ ოლიმპიური ქარტიის წესების დაცვაა. მსოფლიოს გაერთიანება შეგვიძლია მხოლოდ მშვიდობიან პაექრობაში, თუკი ერთმანეთს არ დაგვაშორებენ პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული ან სხვა განსხვავებული ინტერესები. ამიტომაც, რეზოლუციის მიღებისთვის მინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო.

თითოეულ სპორტსმენს, რომელმაც სათამაშო მოედანზე გაიარა კვალიფიკაცია და დაიცვა ოლიმპიური ქარტიის წესები, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს.

საქართველომ მეტოქეები გაარკვია

შვეიცარიაში გამართული წილისყრის შედეგად, 2024 წლის პარიზის ოლიმპიადის საკალათბურთო ტურნირის დარჩენილი ოთხი საგზურისთვის მებრძოლი 24 ნაკრები ჯგუფებში განათავსა.

გათამაშების ფორმატის თანახმად, ეს გუნდები 4 ქვეყანაში – საბერძნეთში, ესპანეთში, ლატვიასა და პუერტო რიკოში გადანაწილდნენ. საქართველო რიგაში მოხვდა, სადაც ა ჯგუფში მეტოქეებად მასპინძელი ლატვია და ფილიპინები ეყოლება. ლატვიაში არის ბ ჯგუფიც, სადაც თავი ბრაზილიამ, კამერუნმა და მონტენეგრომ მოიყარეს. ამ ექვსი ნაკრებიდან ოლიმპიადის საგზურს მიიღებს ერთი – რიგის მინი-ტურნირის გამარჯვებული.

ჯგუფებში გუნდები ერთმანეთს თითოჯერ შეხვდებიან. ოლიმპიადის საგზურისთვის ბრძოლას პირველ ან მეორე ადგილზე გასული გუნდი ნახევარფინალში აგრძელებს და ბ ჯგუფიდან გასულ ნაკრებს შეხვდება. ნახევარფინალში მოგებული გუნდები კი, იმ ერთ საგზურს გაითამაშებენ, რომელიც ოლიმპიადაზე წავა.

ოლიმპიადის საკვალიფიკაციოს სამი დანარჩენი ტურნირი ვალენსიაში, პირეოსსა და სან ხუანში გაიმართება.

ვალენსია, ესპანეთი

ა ჯგუფი: ლიბანი, ანგოლა, ესპანეთი;

ბ ჯგუფი: ფინეთი, პოლონეთი, ბაჰრეინი;

პირეოსი, საბერძნეთი

ა ჯგუფი: სლოვენია, ახალი ზელანდია, ხორვატია;

ბ ჯგუფი: ეგვიპტე, საბერძნეთი, დომინიკის რესპუბლიკა;

სან ხუანი, პუერტო რიკო

ა ჯგუფი: მექსიკა, კოტ დივუარი, ლიეტუვა;

ბ ჯგუფი: იტალია, პუერტო რიკო, ბაჰრეინი;

ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირის თამაშები 2024 წლის 2-დან 7 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ფეთქებადი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. ხრახნული კონვეიერი; 9. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. კათოლიკური საგალობელი; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

თარაზულად: 5. იაპონელი კინორეჟისორი; 6. საფრანგეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 8. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 10. ჩრდილოამერიკელ ინდიელთა რბილი ტყავის ფეხსაცმელი; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. გემის, თვითმფრინავის სვლის მიმართულება; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. მონასტერი ხულოს რაიონში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის ნაკრძალში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. ქიზიყი; 3. პროქტიტი; 4. რადიკალი; 7. ქამელეონი; 8. პლესეცკი; 12. ქარაშოტი; 14. ვოლფრამი; 16. ბეითალი; 17. ჟენშენი; 19. აზია; 20. ვაჩა.

თარაზულად: 5. კარაკასი; 6. ჯვრისწერა; 9. მელასა; 10. ყლორტი; 11. ცეკვა; 13. ჩაქვი; 15. დომინო; 18. ჰეიგი; 21. ფანატიზმი; 22. ანდანტე; 23. კახიანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გამბუზია; 2. წინდა; 3. შერატონი; 4. მეტეხი; 7. ებანი; 9. ოსუმი; 12. აგლომერატი; 14. პერესი; 15. იღუმენი; 17. მოლუსკი; 20. შატლი.

თარაზულად: 5. პასკვილი; 6. არეშიძე; 8. ჭიდაობა; 10. სენატორი; 11. პიექსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ნორმა; 19. სუფსა; 21. ფაუსტი; 22. ანასეული; 23. ბერკუტი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

29 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7128	ევრო — 2.9705
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.4274	100 რუსული რუბლი — 3.0574

ამინდის პროგნოზი 29 ნოემბრისათვის

ვალტერ მაცარი: „რეალის არ გვეშინია“

ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მაცარიმ რეალთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ისინი რეალს პატივს სცემენ, მაგრამ მათი არ ეშინიათ. მაცარის აზრით, ნაპოლის შეუძლია რეალის დამარცხება:

– ჩვენ შეგვიძლია რეალის დამარცხება, რადგან გვყავს ძლიერი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ ნებისმიერი თამაშის ბედის გადაწყვეტა. შეხვედრა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალისთვის, რომელიც უკვე გავიდა ჯგუფიდან. ფეხბურთელები ძალიან მოტივირებულები არიან.

ხავი შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლონ

ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ხავი შესაძლოა თანამდებობიდან გაათავისუფლონ იმ შემთხვევაში თუ მისი გუნდი მომდევნო რამდენიმე შეხვედრაში სასურველ შედეგს ვერ მიიღებს.

ბოლო პერიოდში ბარსელონა ვერ აჩვენებს სასურველ შედეგს და გუნდის ხელმძღვანელობა ამით უკმაყოფილოა. ხავის ბედი უახლოეს მატჩებზე იქნება დამოკიდებული, რომლებშიც ბარსელონასგან მხოლოდ მოგებას ელიან.

ჯუდ ბელინგემი: „რეალისთვის ყველაფერს გავაკეთებ“

მადრიდის რეალის ინგლისელმა ნახევარმცველმა ჯუდ ბელინგემმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ძალიან მონდომებულია და რეალისთვის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება:

– მოედანზე ყოველთვის ვცდილობ, რომ გუნდისთვის მაქსიმუმი გავაკეთო და ჯერჯერობით რეალისთვის სასარგებლო ვარ და ეს ძალიან მიხარია. ჩვენ დიდი პოტენციალი გვაქვს და ეს უნდა მოედანზე დავამტკიცოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

კიმ კარდაშიანმა დემნას ახალი კაბით იპოზიორა

მოდელმა და ტელეწამყვანმა კიმ კარდაშიანმა ფოტორეპორტიორების წინაშე დემნას ახალი კაბით იპოზიორა.

კიმმა კაბა ქართველი დიზაინერის უახლესი 2023 წლის კოლექციიდან შეარჩია და წითელ ხალიჩაზეც გაიარა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც კიმ კარდაშიანი დემნას სამოსით იწონებს თავს. კიმი დემნას ყველა სიახლის პირველი შემფასებელი და მომხმარებელია – სათვალე, ჩანთა, ფეხსაცმელი, სამკაული, კაბა – დემნას ყველა სიახლე ფართო საზოგადოებას სწორედ კიმ კარდაშიანმა უნდა წარუდგინოს.

გოგა ჩანადირი ქართველ გმირებზე ფილმების გადაღების ინიციატივით გამოდის

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი ქართველ მეფეებსა და გმირებზე ფილმების გადაღების ინიციატივით გამოდის:

– სერიალ „დიდებულ საუკუნეზე“ იზრდება ჩვენი ხალხი და დავით აღმაშენებლის ისტორია არ იციან.

არც ერთ მეფესა და გმირზე ღირებული ფილმი არ არის შექმნილი.

ფილმებიდან ერთი, „გიორგი სააკაძე“ მახსენდება, კიდევ ბაშიაჩუკზე და დემეტრე თავდადებულზე. ჰა, „წიგნი ფიცისაც“ იყოს, მაია წყნეთელიც, მაგრამ ზოგადად, მართლა დიდებული საუკუნეები რომ გვქონდა და დიდებული გმირები გვყავდა, მათი ეკრანიზაცია, ასევე ნიმაცია ნამდვილად კარგი და სწორი იქნებოდა.

ელმინა ჰასანი ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია

ოპერის მომღერალი ელმინა ჰასანი თბილისის ვოკალისტთა III საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და პირველი პრემიის მფლობელი გახდა. იგი თამარ ივერის მოსწავლეა და უკვე არაერთ წარმატებას მიაღწია.

კონკურსში მეორე პრემია ანა ფალავანდიშვილმა მიიღო, მესამე პრემიის მფლობელი კი ყაზახი დინმუჰამედ კოშკინბაევი გახდა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის პრიზი ყაზახ მომღერალს ალიხან ზეინოლას მიენიჭა. პრიზი მას თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ გადასცა.

თამარ ივერი, ოპერის მომღერალი, ელმინა ჰასანის პედაგოგი:

– ვულოცავ ჩემს უსაყვარლეს მოსწავლეს სრულიად დამსახურებულ პირველ ადგილს და ტრიუმფალურ წარმატებას თბილისის საოპერო თეატრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო საოპერო კონკურსში. კიდევ ბევრჯერ მიმელოცოს მისთვის! გილოცავ ელმინა! მიყვარხარ! შენ ეს შეძელი! შენ ეს დაიმსახურე!

ზურა ყიფშიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

თეატრისა და კინოს მსახიობის ზურა ყიფშიძის სახელობითი ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ საზეიმოდ გაიხსნა. ღონისძიება მსახიობის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა.

ვარსკვლავის გახსნამდე მარჯანიშვილის თეატრში წარმოდგენილი იყო რეჟისორ ზურა გეწაძის სპექტაკლი „მეფე ლირი“, სადაც მთავარ როლს ზურა ყიფშიძე ასრულებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზურა ყიფშიძე კინომსახიობთა თეატრის მსახიობია, მისი ვარსკვლავი მარჯანიშვილის თეატრის წინ გაიხსნა:

– თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი უერთდება ამ მნიშვნელოვან დღეს და ბატონ ზურას ულოცავს დამსახურებულ და სასიხარულო მოვლენას! ვუსურვებთ ბედნიერებას, არაერთ სიახლესა და შემოქმედებით აქტიურობას!

ზურა ყიფშიძეს თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში შესრულებული აქვს არა ერთი მნიშვნელოვანი და საეტაპო როლი: იაკობ ცურტაველი – „შუშანიკის წამება“ – რეჟისორი ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკი, სუხოვო-კობილინი – „საქმე“ – რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, მოლიერი – „დონ ჟუანი“ – რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, უაილდერი – „ჩვენი პატარა ქალაქი“ – რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, დავით კლდიაშვილი – „ბაკულას ღორები“ – რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი, უილიამ შექსპირი – „მეფე ლირი“ – რეჟისორი ზურაბ გეწაძე.

ზურა ყიფშიძეს მიღებული აქვს ჯილდოები: საქართველოს დამსახურებული არტისტი, გრანპრი სპექტაკლში „დონ ჟუანი“, „ოქროს ნიღაბი“ სპექტაკლისთვის „მამა“, რუსეთის კინოაკადემიის მთავარი პრიზი „ნიკა“ ფილმისთივს „მოცეკვავის დრო“, წლის საუკეთესო მამაკაცი სპექტაკლისთვის „მეფე ლირი“ – საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრემია, წლის საუკეთესო მამაკაცი სპექტაკლისათვის „მეფე ლირი“ თეატრის კრიტიკოსთა კავშირი.

თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი პატივს სცემს ბატონი ზურას გადაწყვეტილებას, მისი სახელობითი ვარსკვლავის მარჯანიშვილის თეატრის წინ გახსნასთან დაკავშირებით და კიდევ ერთხელ ვულოცავთ ამ დამსახურებულ აღიარებას! – ნათქვამია კინომსახიობთა თეატრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

დათო ოქიტაშვილი, კულტურის პალატის თავმჯდომარე:

– 27 ნოემბერს ზურაბ ყიფშიძის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის ცერემონიაზე ზღვა ხალხის ემოციამ კოტე მარჯანიშვილის თეატრის წინ, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ხალხის უზომო სიყვარულმა მოიყვანა პროექტი „ვარსკვლავები“ 2000 წლიდან – პირველი ქალბატონი ნინო რამიშვილის ვარსკვლავიდან დღემდე.

ხალხის სიყვარულზე ძვირფასი არაფერია ჩვენთვის და ამიტომ უდიდესი მადლობა უპირველესად თქვენ გეკუთვნით, ჩვენო ძვირფასო მაყურებელო.

მადლობა გვსურს გადავუხადოთ ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ზურაბ ყიფშიძის საიუბილეო საღამოსა და მისი სახელობითი ვარსკვლავის ორგანიზებაში მცირეოდენი წვლილი შეიტანა. ეს დღე იყო ჩვენი ერთობისა და გუნდური მუშაობის საუკეთესო მაგალითი. ეს ერთი და სხვა მრავალი, ჩემო ძვირფასებო. მომავალ შეხვედრამდე.

ილო ბეროშვილს სალომე ზურაბიშვილის ხელზე კოცნისთვის აკრიტიკებენ

მსახიობი ილო ბეროშვილი საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის ხელზე კოცნისთვის გააკრიტიკეს. ორბელიანების სასახლეში საქართველოს პრეზიდენტი მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა, სადაც ჟურნალების, გაზეთების, ტელევიზიების ჟურნალისტები მიიწვიეს. სტუმართა შორის ილო ბეროშვილიც გახლდათ, რომელიც სალომე ზურაბიშვილს ხელზე ეამბორა:

– ღმერთო, რა გჭირთ ხალხო? ეს კოცნა იყო ხუმრობა და ისეთი ამბავი ატყდა, გეტყვით: ხუმრობა!

რა მითხრა მან და რა ვუპასუხე, არ ვიტყვი. ეს მარტო მე არ მეხება და არც გაინტერესებთ იმედია, მაგრამ, ნუ, ჩვენი დიალოგიც ხუმრობა იყო

პრეზიდენტს ჩემი რესპექტი და მადლობა, რომ დასავლეთთან და ცივილურ სამყაროსთან ინტეგრაციაში თავისი წვლილი შეაქვს და საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯებსაც დგამს! ასევე მადლობა მისი პოზიციისთვის უკრაინასთან მიმართებაში. მაშინ სასახლეში და ახლაც ,პოზიტივზე ვკონცენტრირდები მხოლოდ.

სასიამოვნო საღამო იყო და მნიშვნელოვანიც.

ასე რომ არ ყოფილიყო, მედიის 80 პროცენტი იქ არ მივიდოდით. არა მგონია, ღვინის საწრუპად მისულიყო მხოლოდ ხალხი.

მოდუნდით და ნუ გადამაყოლეთ ამ „ამბორს“!

დღეიდან დამიძახეთ სერ. ილია ბეროშვილი ორბელიანი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 2. „დეკამერონის“ ავტორი; 3. ოსმალეთის იმპერიის მმართველთა ტიტული; 4. ორი ქვეყნის მოქალაქეობის მქონე პირი; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი, მსახიობი მამაკაცი; 8. მსხვილი სამრეწველო-სააქციო გაერთიანება; 12. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 14. ტბა უნგრეთში; 16. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 17. პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა; 19. პოლონეთის პრეზიდენტი; 20. ფულის ერთეული სამხრეთ კორეაში.

თარაზულად: 5. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 6. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. წავისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 10. ღვინის რაოდენობის საზომი ერთეული ძველად, უდრიდა დაახლოებით ერთ ლიტრს; 11. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 13. სამეჯლისო ცეკვა; 15. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 18. ფრანგი მათემატიკოსი, მხაზველობითი გეომეტრიის ფუძემდებელი; 21. რაიონული ცენტრი გურიაში; 22. სწრაფად მზარდი გუტაპერჩის შემცველი ჩინური ხე; 23. უმაღლესი სათათბირო ორგანო ძველად საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა